



ახალი განათლება

№10 (604) აპრილის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



გიორგი მარგველაშვილი:

„მინდა მივმართო ხარისხის მართვის სამსახურს იმისთვის, რომ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია მიმდინარე სიტუაციასთან დაკავშირებით. კოლეგებო, ვწუხვარ, რომ, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ჩემთან ერთად გახდით ბენდუქიძის, დეკანოზის, ურუშაძის, უტიაშვილის და სხვა ყოფილ მაღალჩინოსანთა პოლიტიკური კლოუნადის, პიარის და უსამართლო თავდასხმის მსხვერპლი. ჩვენ თვალს ვადევნებდით ყოველად ამაზრუნე პოლიტიკურ კამპანიას – „ბენდუქიძე დგას კანონზე მაღლა“. დღეს, ხარისხის მართვის სამსახურში წარდგენილი დოკუმენტები (იმ ჯგუფის გასაოცრად, რომელიც 9 წლის განმავლობაში კანონზე მაღლა აყენებდა საკუთარ თავს) მოსულია შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან. აქედან გამომდინარე, ხარისხის მართვის სამსახურს ვთხოვ შემდეგ: მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადაში და კანონის ფარგლებში განახორციელოთ შესაბამისი პროცედურები იმისთვის, რომ დამთავრდეს ეს პიარ-სპეკულაციები, რომელსაც აწყობენ დისკრედიტირებული პოლიტიკოსები. ჩვენ შევძელით, რომ ადამიანები, რომლებიც პრინციპულად არ აღიარებდნენ კანონს და სხვა ადამიანის უფლებებს, დავაყენეთ საქართველოს კანონმდებლობის სამსახურში. იმედი მაქვს, აკრედიტაციის სამსახური, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად, გადაწყვეტს ამ პრობლემას.“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა აბრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციასთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა. მან მოუწოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ვინაიდან სარეგულაციო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულია, რაც შეიძლება სწრაფად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღადგინონ აბრარული უნივერსიტეტის ავტორიზაცია. მინისტრის განცხადებით, ავტორიზაციის აღდგენის პროცესის განსახორციელებლად, სავარაუდოდ, ერთი კვირა საკმარისია.

გამოცდების ეროვნული ცენტრი



აცნობებს აბიტურიენტებს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციის პროცესის დაწყება პირველი აპრილიდან იგეგმება. დაზუსტებული თარიღი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. რეგისტრაციის დაწყებამდე გამოქვეყნდება ცნობარი, რომლითაც მონაწილეებმა უნდა იხელმძღვანელონ არჩევანის გაკეთებისას. ცენტრი არწმუნებს ყველა აბიტურიენტს, რომ მათ საკმარისი დრო ექნებათ რეგისტრაციისათვის, რაც, გარდა პირადი ინფორმაციისა, ჩასაბარებელი გამოცდების მითითებას, აგრეთვე საგამოცდო ქალაქისა და გამოცდის ენის არჩევას ითვალისწინებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, 2013 წლიდან ჩამონათვალში ცვლილების შეტანა კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში (სააპელაციო განაცხადების განხილვამდე) იქნება შესაძლებელი. 2013 წლის გამოცდებისათვის აპლიკანტები რეგისტრაციას ელექტრონულად, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) გაივლიან.

ჩვენი გაზიარებული მომავალ ნომერში დამატდება სწორად აბიტურიენტთათვის

ხედვები, რომელმაც პროფესიული განათლების ხარისხი უნდა გააუმჯობესოს



– სპეციალისტთა აზრით, „კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ არ არის სრულყოფილი. როგორ ფიქრობთ, რა არის მისი ძირითადი ნაკლი, რაში გამოიხატება კანონის პრობლემურობა და შეიცვლება თუ არა რაიმე ამ მიმართულებით?

– კანონი ასახავს არსებულ სისტემას და არეგულირებს მის ფუნქციონირებას. ამიტომ გასული თვეების განმავლობაში ჩვენ სწორედ სისტემის დადებით თუ ნაკლოვან მხარეებს ვსწავლობდით. ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს, გავაცნოთ საზოგადოებას ჩვენი ხედვები, ვიმუშაოთ, რომ რეალობასთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ პროფესიული განათლების შესახებ მოქმედი კანონმდებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ხუთსაფეხურიანი პროფესიული განათლების სისტემა საკმაოდ მოქნილი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია, რომ დამტკიცდა და ამოქმედდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და მისი შემადგენელი ნაწილი — პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩო. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგ, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც სტრუქტურირებულია პროფესიული კვალიფიკაციები, პროფესიული განათლების საფეხურები და მათი აღწერები, ანუ დესკრიპტორები. ჩარჩოზე დაყრდნობით მუშავდება პროფესიული სტანდარტები, ხოლო პროფესიული სტანდარტების მიხედვით — საგანმანათლებლო პროგრამები. აღსანიშნავია, რომ მთელ ამ პროცესში და განსაკუთრებით პროფესიული სტანდარტების შემუშავებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამსაქმებლების ჩართულობას, რადგან პროფესიული სტანდარტი წარმოადგენს კონკრეტული პროფესიის მქონე პირის ერთგვარ სამუშაო აღწერილობას. სტანდარტის სწორად შედგენა არის გარანტი იმისა, რომ მასზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა მორგებული იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე დამტკიცებული სტან-

დარტების შემუშავების პროცესში დამსაქმებლებიც მონაწილეობდნენ, მათი მხრიდან ჩართულობა იყო სუსტი, სიახლის ერთბაშად დანერგვის გამო მოხდა გარკვეული ინფორმაციის არასწორად მიწოდება-გაგება, მცდარი მიდგომების გამო მოხდა საფეხურების მიხედვით მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება. მაგალითად, I საფეხურზე ყველაზე ხანმოკლე პროგრამა შეიძლება სამთვინიცი კი იყოს, რაც სრულიად არასაკმარისია დიპლომირებული სპეციალისტის მოსამზადებლად. გარდა ამისა, იკვეთება მთელი რიგი მოქმედი სტანდარტების შეუსაბამობები (ნაწილობრივი ან სრული) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მაგალითად, სწავლების I საფეხურზე სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია, მაგრამ კვალიფიკაციების ჩარჩოში განმარტებულია, რომ პირველი საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შენეეს უნარი, თავისი მოვალეობები შეასრულოს ერთგვაროვან სიტუაციაში სხვისი მეთვალყურეობის ქვეშ. ისმის კითხვა, რამდენად სჭირდება დღეს საქართველოს შრომის ბაზარს ამ კომპეტენციების მქონე კადრები? საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა უფრო გამსხვილებულ სპეციალობებზე იკვეთება, დამსაქმებელი ეძებს მულტიპროფილური სამუშაოების შემსრულებელს, მაგალითად, ფართე პროფილის მშენებელს და არა კალატოს. ასეთი მოთხოვნა კიდევ უფრო ხაზგასმულია უცხოელი დამქირავებლებისგან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სახის დაკვეთებს ასრულებენ. სამწუხაროდ, ამის გამო, ხშირ შემთხვევაში, მათ უცხოეთიდან ჩამოჰყავთ საჭირო კვალიფიკაციის კადრები. ამის მიზეზად სწორედ ჩვენი კურსდამთავრებულების ვინრო სპეციალიზაციას ასახელებენ. აქედან გამომდინარე, ვმუშაობთ სისტემის გამართვაზე, შრომის ბაზართან პროფესიული განათლების მეტად დაკავშირებაზე, რაც ვფიქრობთ, გამოიწვევს მთელ რიგ შინაარსობრივ ცვლილებებს და მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობის ზრდას.



პროფესიული განათლების პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება რუბრიკის სტუმარი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი



ხედვები, რომელმაც პროფესიული განათლების ხარისხი უნდა გააუმჯობესოს

საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს საგანმანათლებლო „ჩიხების“, ანუ ბარიერების აქტუალურობა. მუშაობა ამ პრობლემის მოგვარების თვისაკენ მიმდინარეობს. მოქმედი კანონით ასეთი ვითარება გვაქვს: ცხრაკლასდამთავრებული ახალგაზრდა, რომელიც სწავლას პროფესიულ სასწავლებელში აგრძელებს, პირველი სამი საფეხურის დასრულების შემდეგ, თუ სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს პროფესიული განათლების შემდეგ, თუ პირი მოიპოვებს სკოლის ატესტატს, პროფესიული განათლების IV-V საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, უნდა ჩააბაროს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდა, ხოლო უმაღლესი განათლების მიღების სურვილის შემთხვევაში – ერთიანი ეროვნული გამოცდები. როგორც ხედავთ, საკითხი საკმაოდ რთული და მრავალნაწიანია. ამავე დროს, გაუაზრებლად რომელიმე „ჩიხის“ მოხსნამ, სისტემაში შეიძლება სხვა პრობლემები გაჩინოს. თავიდან ბოლომდე უნდა მივიღოთ ლოგიკურ ჯაჭვს. საქმე ისაა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალგაზრდას ვერ აძლევს პროფესიული განათლების მიღების პარალელურად ზოგადი განათლების დაუფლების შესაძლებლობას. მართალია, კანონში არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც კოლეჯებს შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ მხოლოდ იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც გაიარეს სრული ზოგადი განათლების კურსი (ანუ სკოლაში ისწავლეს 12 წელი) და ვერ მიიღეს სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი, ანუ ვერ ჩააბარეს საატესტატო გამოცდა. ასე რომ, არსებული კანონმდებლობის გადახედვა, მსგავსი ბარიერების მოსახსნელად აუცილებელია.

– როგორც ვიცით, ევროკავშირის სერიოზული შენეშებები ჰქონდა პროფესიულ სტანდარტებთან დაკავშირებით ძალიან ბევრ პროფესიაში. მიმდინარეობს თუ არა მუშაობა ამ მიმართებით და მონაწილეობს თუ არა პროცესში პოტენციური დამსაქმებლები და სოციალური პარტნიორები?

– კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ამჯერად პროფესიული განათლების შესახებ მხოლოდ ჩვენს ხედვებს ვთავაზობთ სხვადასხვა მიმართულებით. პროფესიული სტანდარტი კი ამოწავალია ნერტილია ამ სფეროში. სწორედ ამ საკითხის მოგვარებაში დაგვეხმარებოდნენ ევროკავშირი ექსპერტები, ჩვენი თხოვნის შესაბამისად, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში. თავიდან დაკომპლექტდება დარგობრივი საბჭოები, რომლებიც იმუშავენ არსებული პროფესიული სტანდარტების დახვეწისა თუ ახალი სტანდარტების შექმნის მიმართულებით. საზგამათი მინდა აღვნიშნო, რომ დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ამ პროცესში დამსაქმებლის მონაწილეობასა და ჩართულობას. აქაც ევროკავშირი გვეხმარება, რომ ზუსტად შესრულდეს სამუშაოს აღწერა, განისაზღვროს საბჭოების შემადგენლობა და ფუნქციები. ქართველი ექსპერტებთან ერთად მოამზადებენ სამუშაო ჯგუფების ლიდერებს, რომლებიც უხელმძღვანელებენ სტანდარტების მომზადების პროცესს; ასევე უნდა გაუწიონ ფასილიტაცია სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, რათა ფოკუსირებულნი იყვნენ კონკრეტული პროფესიის ირგვლივ; მათ იციან პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა და ჩარჩო და ეხმარებიან დამსაქმებლებს თავიანთი მოთხოვნების ჩამოყალიბებაში. ახლა სწორედ ეს ტექნიკური დახმარება ხორციელდება. დასაწყისში, ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით, 15 პროფესიული სტანდარტი გადაიხედება, ამისათვის უკვე დაკომპლექტებულია ჯგუფები. მთავარია, სწორი ფორმატი და მეთოდოლოგია შეირჩეს. ევროკავშირმა შემოგვთავაზა მეთოდოლოგია, რომელიც მომდებარეობს ეტაპზე პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება. მანამდე ასეთი გამოკვეთილი, კლასიკური მეთოდოლოგიით, სამწუხაროდ, არ გვისარგებდა. არც დამსაქმებელთა ჩართულობა იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი. უმეტესწილად, ეს ჯგუფები დაკომპლექტებული იყო აკადემიური წრეების წარმომადგენლებით, განათლების სფეროს სპეციალისტებით, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით, საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე. შესაბამისად, პროფესიულმა სტანდარტმა სახე იცვალა, სხვაგვარი დაკომპლექტი გახდა – მონყდა რეალობას, ანუ შრომის ბაზარს და წავიდა უფრო აკადემიური საგანმანათლებლო სფეროებისკენ, რაც პროფესიული განათლების შემთხვევაში არ არის გამართლებული. პროგრამა, რომელსაც სტუდენტს შევთავაზებთ, გათვლილი უნდა იყოს დასაქმებაზე და დამსაქმებლის მოთხოვნაზე. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, მაგალითად, როგორ უნარ-ჩვევების მქონე შემდეგლებს დაიჭირავებს დამსაქმებელი. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ პროფესიული განათლების მიზანი, დასაქმებასთან ერთად, არის პირის თვითდასაქმების ხელშეწყობა და ამ კუთხითაც საჭიროა მეტი ძალისხმევა გამოვიჩინოთ.

– ხომ არ არის საინფორმაციო სახელმწიფოს მიერ, ახლო ან შუადროში შორეულ პერსპექტივაში, პრიორიტეტული დარგებისთვის, რა რაოდენობის და პროფესიის კვალიფიციური კადრის მომზადება იქნება საჭირო?

– რაც შეეხება სტრუქტურა რაოდენობას და პროფესიების მიხედვით მომზადებას, ამის განსაზღვრა მხოლოდ შრომის ბაზრის კვლევის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ასეთ კვლევებს სისტემური და სისტემატური ხასიათი არ აქვს. ძირითადად, გვაქვს სხვადასხვა საერთაშორისო თუ

ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ნერტილოვანი კვლევების შედეგები, რომელიც თავისთავად, საინტერესოა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მორგებულია კონკრეტულ ინტერესს. მაგალითად, თუკი პროექტი ხორციელდება აჭარაში ტურიზმის კუთხით, ბუნებრივია, იგი არ შეიცავს ინფორმაციას ტურიზმის მიღმა არსებულ საკითხებზე ან მოთხოვნებზე. ჩვენთვის კი საინტერესოა სრული და ამომწურავი ინფორმაცია – გასათვალისწინებელია თითოეული რეგიონის განვითარების პერსპექტივა, პრიორიტეტული მიმართულებები, უნდა ვიცოდეთ, რა სფეროებში იგეგმება სახელმწიფო ან კერძო ინვესტიციები. ყოველივე ეს ანალიზის საგანი იქნება. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია გვექონდეს ასეთი ინფორმაცია – რამდენი სტუდენტი პროფესიულ განათლებაში, რა პროფესიებზეა მოთხოვნა, რა პრობლემებია, რითია გამოწვეული სტუდენტთა გადინება. ამ მიმართულებით, ინფორმაციას მხოლოდ საჯარო სექტორზე ვფლობთ, კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებული მონაცემები არასრულყოფილია, თუმცა ამ კუთხით უკვე ვმუშაობთ და ვთანამშრომლობთ კერძო კოლეჯების ასოციაციასთან. მოვუწოდებთ კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განათავსონ ინფორმაცია სამინისტროს ერთიან ბაზაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავად სტუდენტის პრობლემების მოსაგვარებლადაც, მათ შორის, გადაინების მიზეზების დასადგენად და ა.შ. თუკი ამომწურავი ინფორმაცია ოფიციალური სახით არ იქნება თავმოყრილი, ძალიან გავიჭირდება, რადგან ზეპირად მოგვიწევს მსჯელობა, იძულებულნი ვიქნებით, დავეყრდნობთ ცალკეული ადამიანების მოსაზრებებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, დასაბუთებული არ არის და გამოდინარეობს მხოლოდ გამოცდილებიდან. ამან შეიძლება შეცდომამდეც კი მივყავანოს, ამიტომ საჭიროა სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა, რომელსაც სამინისტრო გააანალიზებს და გამოიყენებს გადაწყვეტილების მიღებისას.

– ევროპელი ექსპერტების აზრით, ვაუჩერული დაფინანსების არსებული ფორმულა არაეფექტურია. ხომ არ ფიქრობთ დაფინანსების ალტერნატიულ გზებზე ან ხომ არ გაიზრდება პროფესიული განათლების ბიუჯეტი და რა იქნება პრიორიტეტული მომავალში ამ სფეროში?

– პროფესიული განათლების წლებიანდელი ბიუჯეტი გაზრდილია და დამატებულია ისეთი კომპონენტი, როგორცაა, მაგალითად, სასწავლო მასალები, გათვალისწინებულია ისიც, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტულად სოფლის მეურნეობა გამოაცხადა. შესაბამისად, დაფინანსება რამდენიმე მიმართულებით ვრცელდება და სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი მათგანია. მეტი წილი სასწავლებლების რეგიონებშია განთავსებული, ყველა მათგანს აქვს სოფლის მეურნეობის მიმართულება და მორგებულია მიკროეკონომიკურ სექტორებს.

რაც შეეხება სტუდენტის დაფინანსების ვაუჩერულ მექანიზმს, ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს. უკვე გავეცანით პრობლემასა და ვთანხმდებით, რომ მონოვალუტური დაფინანსების მექანიზმი არ ამართლებს, გარდა ამისა, 1000-ლარიანი ვაუჩერი არ ყოფნის სტუდენტს ყველა საფეხურის პროგრამაზე განათლების მისაღებად, რადგან ხარჯები, პროფესიების მიხედვით, ძალიან განსხვავებულია. შესაძლებელია, მაგალითად, ბულატრის მომზადებას გაცილებით მეტი ხარჯი ჭირდებოდეს, მაშინ როდესაც მზარეული ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კურსია, რომელსაც ისეთი სასწავლო მასალები სჭირდება, რომელიც მალეუჭება და ყოველ ჯერზე ახლის შექმნა საჭირო. ამიტომ 1000-ლარიანი ვაუჩერის პრინციპი, ამ შემთხვევაში, გამართლებული არ არის. ამ საკითხის მოგვარებაში გვეხმარება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ), მათ ფორმულის მოდელიც შემოგვთავაზეს. გაანგარიშება გაკეთებულია, დაახლოებით ვიცით, რა ჯდება პროფესიების მიხედვით სხვადასხვა პროგრამა და, სავარაუდოდ, ცვლილებები ამ კუთხით ახალი სასწავლო წლიდან განხორციელდება.

– პროფესიული კოლეჯების სტრუქტურისათვის სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე არ არსებობს. რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით და აქვე გაითვალისწინებთ შესახებაც – საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგის სპეციალური მომზადება კოლეჯებისათვის?

– გეთანხმებით, თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ სასწავლო მასალების განვითარებაზე ვისაუბრებ. სახელმძღვანელო მშობლიურ ენაზე უნდა არსებობდეს. სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მიმართულებით, გასულ წლებში, მომზადდა და დაიბეჭდა მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოები და ამ კუთხით აუცილებლად ვიმუშავეთ, მაგრამ არ გვინდა მოვლენებს გავუწესოთ. ჩვენ გავყვებით ლოგიკურ ჯაჭვს, რომელიც თანმიმდევრულად უნდა გავიაროთ – დაიწყეთ სტანდარტის გადახედვა, დაერწმუნდეთ, რომ იგი უმდგომარეობა დამსაქმებლების მონაწილეობით, მაშასადამე პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მის საფუძველზე გაკეთდება სასწავლო პროგრამები და მხოლოდ ამის შემდეგ მომზადდება სასწავლო მასალები ქართულ ენაზე. სახელმძღვანელოს შექმნა საკმაოდ რთული და სერიოზული საქმეა, მას დრო სჭირდება. ამიტომ სანყის ეტაპზე მოსაფიქრებელია, როგორი სახით შეიქმნება სასწავლო მასალები. მთავარია, ყველა პროფესიაში გაჩნდეს სანყის თეორიული სასწავლო ბაზა.

პროფესიული განათლების საკითხებზე მომუშავე უცხოელი და ქართველი ექსპერტები ვთანხმდებით, რომ კვალიფიციური ადამიანური რესურსი, საგანმანათლებლო კუთხით, დღეს პრობლემატური საკითხია და ამ მიმართულებითაც თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო. არ არსებობს პროგრამები, რომე-

ლიც დაეხმარება პროფესიული განათლების მასწავლებელს კვალიფიციის ამაღლებაში საგნობრივი ან პროფესიული კუთხით. ეს პროცესი დაწყებულია, მასში აქტიურადაა ჩართული მასწავლებელთა სახლი, რომელსაც ეხმარება გაეროს განვითარების პროგრამა. შედეგინილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მომზადებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი, რომელშიც განერილია პროფესიული სასწავლებლის პედაგოგის მომზადებისა და გადამზადების პროცესი – რა შეიძლება მოეთხოვოთ ადამიანს, რომელმაც უნდა ასწავლოს პროფესიული განათლება, რა შესაძლებლობები უნდა შეუქმნათ იმისათვის, რომ პროფესიული ზრდა არ შეწყვიტოს და შეძლოს კვალიფიციის ამაღლება. არსებულ კადრებს აუცილებლად გამოვიყენებთ, პარალელურად მოვიზიდავთ პრაქტიკოსებს სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საგანმანათლებლო საქმიანობით, რადგან ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილება. მაგალითისთვის ავიღოთ ტურიზმის სფერო – რომელიმე სასტუმროს ადმინისტრატორს, სასწავლებელთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, შევთავაზებთ ჩაატაროს მასტერკლასების კურსი სტუდენტებისთვის. ასეთ ადამიანებს მოვიზიდავთ სხვა სფეროებიდანაც. ვფიქრობ, სანარმოო სწავლებასთან ერთად, ეს კარგი მეთოდი იქნება პროფესიული უნარჩვევების დასაუფლებლად.

– კონკრეტულად რას მოხმარდება ევროკავშირისა და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი გათვალისწინებული ორი მილიონი ევრო?

– ეს არის ევროპელი ექსპერტების დახმარება ჩვენი ქვეყნის პროფესიული განათლების განვითარებისათვის. ადგილობრივი რეალობის ცოდნა, ამ სფეროში დაგროვილი ქართული გამოცდილება დაბალანსებული იქნება ევროპული ქვეყნების გამოცდილებასთან. თავის დროზე მათაც გაიარეს ეს გზა, გაეცნენ სხვათა გამოცდილებას, მაგრამ შერჩეული მოდელი მორგებს საკუთარი ქვეყნის რეალობას, ისტორიას, კულტურას, ადამიანების ბუნებას, რაც, საბოლოო ჯამში, გახდა კიდევ ნარმატივის საფუძველი. ამ მხრივ, ჩვენი ძალზე საინტერესოა პოლონეთის, გერმანიის, ჩეხეთის, ფინეთის მაგალითი. ჩვენ კარგად შევისწავლით მათ გამოცდილებას ამ კუთხით, გადმოვიღებთ, რაც კარგია და შესაბამისობაში მოვიყვანთ ქართულ რეალობასთან.

– 2010 წელს, ერთდროულად, გაუქმდა 13 პროფესიული სასწავლებელი, მათ შორის ტრადიციული და ისტორიული მნიშვნელობის მქონეებიც. იგეგმება თუ არა მათი აღდგენა სამომავლოდ?

– რთულია ისაუბრო, რა ლოგიკით მიიღო სახელმწიფომ ეს გადაწყვეტილება. მით უმეტეს, რომ პროფესიული განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ძალიან გაუარესდა ვითარება. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არც ერთი პროფესიული სასწავლებელი აღარ ფუნქციონირებს. კომისია რომელიც ჩვენ შევქმენით, სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს – ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სწავლობს ახალი პროფესიული სასწავლებლების დაარსების საჭიროებას. აღდგენის ფორმატში ლაპარაკი ძალიან რთულია, რადგან ჯერ ერთი, ხშირ შემთხვევაში, აღსადგენიც აღარაფერი დარჩა და მეორე, კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს მსგავს პროცედურას, ასეთი სტატუსი არ არსებობს. საჭიროებები კომისიამ უნდა შეაფასოს და ის მეთოდებიც განსაზღვროს, როგორ აპირებს პროცესის სტიმულირებას. ამიტომ კომისია სწავლობს და განიხილავს რეგიონებიდან შემოსულ წერილებს დამატებით გამოკვეთილი საჭიროებების შესახებაც, ცალკეული საინიციატივო ჯგუფების მოსაზრებებს და, სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, შეარქვას ყველა საჭიროებას, ხოლო შემდეგ გააკეთებს შესაბამის დასკვნებს. ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამოიცილებს მიზნით, პროცესში ჩართულია პროფესიული კავშირი, დამსაქმებელთა ასოციაცია, საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმისთვის აუცილებელი პირობა, ვფიქრობ, შესრულებულია – ჩვენ დაეინახეთ გამოწვევები და ვაყალიბებთ მათ საპასუხო ხედვებს, რაც ფორმულირებული იქნება საგანმანათლებლო სტრატეგიაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება, რომელიც ამ გამოწვევის გადაჭრის გზებსაც მიუთითებს. შუალედური მონაზახების განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ: პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები, განსახილველად დაეგზავნება დაინტერესებულ პირებს და განთავსდება ჩვენს საიტზე. დოკუმენტს თან ახლავს სამოქმედო გეგმა, რომელიც შესულია პროფესიული განათლების განვითარებისა და მუშაობის გაუმჯობესების ხელშეწყობა აქტივობები, დასახელებულია ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მათ განხორციელებაში, მითითებულია სავარაუდო რესურსები და ა.შ. ასე რომ, პროფესიული განათლების განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას (2013-2020) საკმაოდ პრაქტიკული სახელმძღვანელო ნაწილიც ექნება.

ევარაუდობთ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის ყველა პრობლემურ საკითხზე შევთანხმდებით, რაც საბოლოოდ კანონშიც აისახება, გვექნება განახლებული სასწავლო პროგრამები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროფესიული განათლების ხარისხს და, შესაბამისად, კვალიფიციური კადრების მომზადებას.



როგორ მოვემზადოთ 2013 წლის ართიანი ეროვნული გამოცდაებისათვის ფიზიკა

მოცემულ დავალებათა გაცნობა და გეგმარებით დამოუკიდებლად მოემზადოთ ფიზიკის გამოცდისათვის. ფიზიკის საგამოცდო ტესტი ეფუძნება სასკოლო კურსის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც საგამოცდო პროგრამაშია წარმოდგენილი. აგრეთვე შეგიძლიათ ისარგებლოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული კრებულებითა და ფიზიკის სასკოლო კურსის იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

ართიანი ეროვნული გამოცდაების მოთხოვნები ფიზიკაში გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა.
- ამ ცოდნაზე დაყრდნობით, ბუნებაში მიმდინარე არსებითი პროცესების დახასიათება და ანალიზი.
- გრაფიკებიდან, სქემებიდან, ცხრილებიდან და დიაგრამებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

საგამოცდო ტესტით მოწოდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი.
- გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი.
- მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი (პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი) მონაცემების შერჩევის უნარი.
- ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცნობი, არასტანდარტული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი.

ფიზიკის საგამოცდო პროგრამა

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება
კინემატიკა	მექანიკური მოძრაობა. გადატანითი და ბრუნვითი მოძრაობა. ნივთიერი წერტილი. ათვლის სისტემა, ტრაექტორია. გავლილი მანძილი. გადაადგილება. სკალარული და ვექტორული სიდიდეები. ნრფივი თანაბარი მოძრაობა. სიჩქარე. სიჩქარის ერთეულები. გავლილი მანძილის, დროისა და სიჩქარის გამოსათვლელი ფორმულები. კოორდინატისა და სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები. მდებარეობისა და მოძრაობის ფარდობითობა. სიჩქარეთა შეკრების წესი. ნრფივი არათანაბარი მოძრაობა. მყისი სიჩქარე. საშუალო სიჩქარე. ნრფივი თანაბარჩქარეული მოძრაობა. აჩქარება, მისი ერთეული. აჩქარების, სიჩქარისა და გადაადგილების ფორმულები. კოორდინატის, სიჩქარისა და აჩქარების დროზე დამოკიდებულების გრაფიკები. თანაბარი მოძრაობა წრენიზე. ბრუნვის პერიოდი და სიხშირე. ცენტრისკენული აჩქარება.
ნიუტონის კანონები და ბუნების ძალები	ნიუტონის I კანონი. სხეულების ინერტულობა. მასა. მასის ერთეული. სიმკვრივე. სიმკვრივის ერთეული. ათვლის ინერციული სისტემები. სხეულების ურთიერთქმედება. ძალა. ნიუტონის II კანონი. ძალის ერთეული. ტოლქმედი ძალა. ძალების შეკრება. ნიუტონის III კანონი. მსოფლიო მიზიდულობის კანონი. გრავიტაციული მუდმივა. სიმძიმის ძალა. წონა. აჩქარებულად მოძრაობის სხეულის წონა. უწონადობა. სხეულთა თავისუფალი ვარდნა. თავისუფალი ვარდნის აჩქარება. დრეკადობის ძალა. სიხისტე. ჰუკის კანონი. უძრავობის ხახუნის ძალა. სრიალის ხახუნის ძალა. გორვის ხახუნის ძალა. ხახუნის კოეფიციენტი.
მუდმივობის კანონები მექანიკაში	სხეულის იმპულსი. იმპულსის ერთეული. იმპულსის მუდმივობის კანონი. მექანიკური მუშაობა და სიმძლავრე. მათი ერთეულები. მექანიკური ენერჯია. კინეტიკური ენერჯია. სხეულისა და დედამინის ურთიერთქმედების პოტენციური ენერჯია. დრეკად დეფორმირებული სხეულის პოტენციური ენერჯია. მექანიკური ენერჯიის მუდმივობის კანონი. პოტენციური და კინეტიკური ენერჯიების ურთიერთგარდაქმნა.
სტატიკა	ძალის მომენტი. სიმძიმის ცენტრი. წონასწორობის სახეები. უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეულის წონასწორობის პირობა. მარტივი მექანიზმები: ბერკეტი, ჭოჭონაქი, დახრილი სიბრტყე. მექანიზმების მ.ქ.კ.
ჰიდრო და აეროსტატიკა	წნევა. წნევის ერთეულები. სითხის წნევა ჭურჭლის ფსკერსა და კედლებზე. პასკალის კანონი. ზიარი ჭურჭელი. ჰიდრავლიკური მანქანა. ატმოსფერული წნევა. ტორიჩელის ცდა. ნორმალური ატმოსფერული წნევა. ამომგდები ძალა. არქიმედეს კანონი. სხეულთა ცურვის პირობები.
მექანიკური რხევები და ტალღები	რხევითი მოძრაობა. პარამონიული რხევა. ამპლიტუდა. ლხევის პერიოდი და სიხშირე. მათი ერთეულები. ძაბვარაზე მიმაგრებული სხეულისა და მათემატიკური ქანქარის რხევის პერიოდის ფორმულები. ენერჯიის გარდაქმნა რხევითი მოძრაობის დროს. მექანიკური ტალღები. კავშირი ტალღის სიგრძეს, გავრცელების სიჩქარესა და სიხშირეს შორის. განივი და გრძივი ტალღები. ბგერითი ტალღა. ბგერის სიჩქარე სხვადასხვა გარემოში. ბგერის ხმაალღობა და ტონის სიმაღლე. ექო.
გეომეტრიული ოპტიკა	სინათლის გავრცელება ერთგვაროვან გარემოში. ჩრდილის და ნახევარჩრდილის წარმოქმნა. სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები. სინათლის არეკვლა. არეკვლის კანონები. გამოსახულების აგება ბრტყელ სარკეში. სარკული და დიფუზური არეკვლა. სინათლის გარდატეხა. გარდატეხის კანონები. გარდატეხის მაჩვენებელი. მისი კავშირი გარემოში სინათლის გავრცელების სიჩქარესთან. სინათლის დისპერსია. სპექტრი. შემკრები და გამზნევი ლინზები. ლინზის ოპტიკური ძალა და მისი ერთეული. გამოსახულების აგება ლინზაში. თხელი ლინზის ფორმულა. ლინზის გამაღიებლობა.

სითბური მოვლენები	ნივთიერების აგებულება. მოლეკულების ურთიერთქმედება. მოლეკულების სითბური მოძრაობა. ტემპერატურა. აბსოლუტური ტემპერატურა. კელვინის და ცელსიუსის სკალები. კავშირი მათ შორის. აირადი, თხევადი და მყარი აგრეგატული მდგომარეობები. დიფუზია. ბრუნვის მოძრაობა. შინაგანი ენერჯია და მისი შეცვლის გზები. თბოგადაცემის სახეები (თბოგამტარობა, კონვექცია, გამოსხივება). სითბოს რაოდენობა. მისი ფორმულა და ერთეულები. კუთრი სითბოტევადობა. მისი ერთეული. სხეულის სითბოტევადობა. მისი ერთეული. საწვავის წვის კუთრი სითბო. მისი ერთეული. მყარი სხეულების დნობა და გამყარება. დნობის კუთრი სითბო, მისი ერთეული. ნივთიერების დნობისა და გამყარების გრაფიკები. აორთქლება და კონდენსაცია. ორთქლადქცევის კუთრი სითბო. მისი ერთეული. დუღილი. დუღილის ტემპერატურის დამოკიდებულება წნევაზე. იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება. იდეალური აირის კანონები. მათი გრაფიკული გამოსახვა. აირის მუშაობის ფორმულა იზობარული პროცესის დროს. თერმოდინამიკის I კანონი. მისი გამოყენება იზობაროცესებში.
ელექტრული მოვლენები	ელექტრული მუხტი. მისი ერთეული. მუხტის მუდმივობის კანონი. მუხტების ურთიერთქმედება. ელემენტარული მუხტი. კულონის კანონი. ელექტრული ველი. ელექტრული ველის დაძაბულობა და მისი ერთეული. ელექტრული ველის ძალნიერები. სუპერპოზიციის პრინციპი. დიელექტრიკული შეღწევადობა. ელექტროსტატიკური ველის მუშაობა. პოტენციალი და მისი ერთეული. პოტენციალთა სხვაობა. კონდენსატორი. ელექტროტევადობა და მისი ერთეული. ბრტყელი კონდენსატორის ტევადობის ფორმულა. კონდენსატორის ენერჯია. ელექტრული დენი. დენის ძალა. მისი ერთეული. ომის კანონი წრედის უბნისათვის. ძაბვა. მისი ერთეული. გამტარის წინააღობა. მისი ერთეული. გამტარის წინააღობის დამოკიდებულება მის გეომეტრიულ ზომებსა და გვარობაზე. კუთრი წინააღობა. გამტართა პარალელური და მიმდევრობითი შეერთება. დენისა და ძაბვის გაზომვა. ამპერმეტრი და ვოლტმეტრი. მათი წრედში ჩართვის წესები. ელექტრული წრედისა და მისი ელემენტების სქემატური გამოსახვა. წრედის შედგენა მოცემული ელემენტების გამოყენებით. დენის მუშაობა და სიმძლავრე. მათი ერთეულები. ჯოულ-ლენცის კანონი. დენის წყაროები. დენის წყაროს ემ ძალა და შიგა წინააღობა. ომის კანონი სრული წრედისათვის.

ტესტურ დავალებათა აღწერა

დავალების I ტიპი – რამდენიმე სავარაუდო ვარიანტიდან ერთადერთი სწორი პასუხის არჩევა (ე.წ. არჩევითპასუხიანი ტესტური დავალება)

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აბიტურიენტმა უნდა აირჩიოს სწორი პასუხი და პასუხების ფურცელში აღნიშნოს შესაბამისი უჯრა.

შეფასება – თითოეული ამგვარი დავალება ფასდება თითო ქულით.

დავალების II ტიპი – შესაბამისობის პოვნა.

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – აბიტურიენტმა უნდა იპოვოს შესაბამისობა ცხრილის სახით წარმოდგენილ ორ ჩამონათვალში მოცემულ მოვლენათა ან ობიექტთა შორის.

პასუხის ჩანერის ფორმა და შეფასება დაწვრილებით იქნება აღწერილი თითოეულ დავალებაში.

დავალების III ტიპი – მოცემული ამოცანის ამოხსნა (ე.წ. ღია ტესტური დავალება).

დავალების აღწერა და ინსტრუქცია – დავალებაში მოცემულია ამოცანის პირობა და დასმულია რამდენიმე კითხვა. თითოეულ კითხვას შეესაბამება ერთი სწორი პასუხი. აბიტურიენტმა უნდა მიიღოს სწორი პასუხი და იმავდროულად ნათლად უნდა წარმოადგინოს პასუხის მიღების გზა. შესაძლებელია, ზოგიერთი ამოცანა იხსნებოდეს რამდენიმე ხერხით. ამ შემთხვევაში საკმარისია, აბიტურიენტმა აჩვენოს ამოხსნის ერთ-ერთი გზა.

ტესტი ფიზიკაში

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ტიპების აღწერა.

გაითვალისწინეთ, **გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**

ყურადღება!!! პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

მხედველობაში არ მიიღება ტესტის ბუკლეტში ჩანერილი (ან შემოხაზული) პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის! ყურადღებით შეავსეთ პასუხების ფურცელი! წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისთვის განკუთვნილი ადგილი. არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. პასუხების ფურცელი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი) არ გასწორდება!

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-45:


დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც შეესაბამება თქვენ მიერ არჩეულ პასუხს და დასვით ნიშანი X.

1. წყალში სრულად ჩაძირეს ორი ერთნაირი მოცულობის სხეული, რომელთა სიმკვრივეების შეფარდებაა 3:2. პირველ სხეულზე იმოქმედა 6 ნ-ის ტოლმა ამომგდებმა ძალამ. რისი ტოლია მეორე სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა?


- ა) 2 ნ
- ბ) 3 ნ
- გ) 4 ნ
- დ) 6 ნ
- ე) 9 ნ

2. q და $3q$ მუხტები ტოლი მანძილებითაა დაშორებული $2q$ მუხტიდან (იხ. ნახ.). მოყვანილი ძალებიდან რომელი შეიძლება შეესაბამებოდეს $2q$ მუხტზე მოქმედი ძალების ტოლქმედს?




- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4 ე) 5

3. იპოვეთ F_1 და F_2 ძალების მომენტების ჯამი R რადიუსის მქონე დისკის ბრუნვის ღერძის მიმართ (იხ. ნახ.).



- $F_1=3$ ნ, $F_2=4$ ნ, $R=3$ მ.
ა) 3 ნ·მ ბ) 9 ნ·მ გ) 12 ნ·მ დ) 15 ნ·მ ე) 21 ნ·მ

4. რომელი წერტილი წარმოადგენს A წერტილის გამოსახულებას ბრტყელ სარკეში? (იხ. ნახ.)



- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4 ე) 5

5. 4 ნმ-ის განმავლობაში ტალღა გავრცელდა ორი ტალღის სიგრძის ტოლ მანძილზე. რისი ტოლია ტალღის რხევის სიხშირე?
ა) 1/4 ჰც ბ) 1/2 ჰც გ) 1 ჰც დ) 2 ჰც ე) 4 ჰც

3q და (-q) მუხტებით დამუხტული და ერთმანეთისაგან r მანძილით დაშორებული მცირე ზომის ორი ერთნაირი ლითონის ბურთულა ერთმანეთს მიიზიდავს F ძალით. (დავალებები 6,7)

6. ერთმანეთისაგან რა მანძილზე უნდა მოვათავსოთ ეს ბურთულები, რომ მათი ურთიერთქმედების ძალა 4-ჯერ გაიზარდოს?
ა) r/12 ბ) r/6 გ) r/4 დ) r/2 ე) 2r

7. როგორ იმოქმედებენ ერთმანეთზე ბურთულები, თუ მათ ერთმანეთს შევახებთ და შემდეგ დავაშორებთ ისევ r მანძილით?
ა) განიზიდებიან F/3-ით ბ) მიიზიდებიან F/3-ით
გ) განიზიდებიან F-ით დ) განიზიდებიან 3F-ით ე) მიიზიდებიან 3F-ით


8. ზევით ასვლისას ლიფტი იწყებს მოძრაობას $a_1=g/4$ აჩქარებით, ხოლო მუხრუჭდება $a_2=g/5$ აჩქარებით. იპოვეთ ლიფტში მოთავსებული სხეულის წონების შეფარდება P_1/P_2 ამ ორ შემთხვევაში.
ა) 16/25 ბ) 4/5 გ) 1 დ) 5/4 ე) 25/16

9. F ფოკუსური მანძილის გამზნვე. ღონისასა და საგანს შორის რომელი d მანძილებისათვისაა გამოსახულება ნამდვილი?
ა) $d < F$ ბ) $2F > d > F$ გ) $d > 2F$ დ) არასდროს ე) ყოველთვის

10. 50 ბრ/წმ სიხშირით მბრუნავი ბურთი უსაწყისო სიჩქარით თავისუფლად ვარდება 7,2 მ სიმალიდან. რამდენ ბრუნს გააკეთებს ის დედაქანზე დაეარდნამდე? ($g=10$ მ/წმ²)
ა) 30 ბ) 50 გ) 60 დ) 72 ე) 90

11. ერთი და იგივე ძალა ერთ ურიკას ანიჭებს 3 მ/წმ² აჩქარებას, მეორეს კი 7 მ/წმ²-ს. რა აჩქარებას მიანიჭებს იგივე ძალა ერთმანეთთან გადაბმულ ამ ორ ურიკას?
ა) 2,1 მ/წმ² ბ) 7/3 მ/წმ² გ) 4 მ/წმ² დ) 5 მ/წმ² ე) 10 მ/წმ²

12. დადებითი წერტილოვანი მუხტი გადაადგილდება ერთგვაროვან ელექტრულ ველში A წერტილიდან B წერტილში სხვადასხვა ტრაექტორიით. რომელ შემთხვევაშია მუხტის გადაადგილებაზე ველის მიერ შესრულებული მუშაობა მაქსიმალური?




- ა) I შემთხვევაში ბ) II შემთხვევაში გ) III შემთხვევაში
დ) IV შემთხვევაში ე) მუშაობა ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა

13. ნათურა გათვლილია 25ვ ძაბვაზე და 5ა დენზე. რა წინაღობის გამტარი უნდა მიუერთოთ ნათურას მიმდევრობით, რომ შეეძლოს მისი 100ვ ძაბვის ქსელში ჩართვა?
ა) 4 ომი ბ) 5 ომი გ) 10 ომი დ) 15 ომი ე) 20 ომი

14. ერთი და იგივე მოცულობის ρ და 2ρ სიმკვრივეების სხეულები ტივტივებენ 3ρ სიმკვრივის სითხეში. 2ρ სიმკვრივის სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალაა F. რისი ტოლია ρ სიმკვრივის სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა?
ა) F/3 ბ) F/2 გ) 2F/3 დ) 2F ე) 3F/2


15. დიაგრამაზე გამოსახულია ოთხი სხეულის მასები და სიმაღლეები დედამიწის ზედაპირიდან. რომელ სხეულზე აქვთ ტოლი პოტენციური ენერჯიები დედამიწის ზედაპირის მიმართ?



- ა) 1 და 2 ბ) 1 და 3 გ) 1 და 4 დ) 2 და 3 ე) 3 და 4

ნახაზზე მოცემულია წრფივად მოძრავი სხეულის სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. (დავალებები 16, 17, 18, 19)

16. რისი ტოლია სხეულის მიერ მეოთხე წამში გავლილი მანძილი?



- ა) 7 მ ბ) 8 მ გ) 9 მ დ) 14 მ ე) 16 მ

17. რისი ტოლია სხეულის მიერ გავლილი მანძილი იმ მომენტში, როცა მისი სიჩქარეა 10 მ/წმ?
ა) 5 მ ბ) 10 მ გ) 15 მ დ) 20 მ ე) 25 მ


18. რისი ტოლია სხეულის საშუალო სიჩქარე (2 წმ, 5 წმ) დროის შუალედში?
ა) 2,5 მ/წმ ბ) 3 მ/წმ გ) 3,5 მ/წმ დ) 5 მ/წმ ე) 7 მ/წმ

19. რისი ტოლია სხეულის სიჩქარე იმ მომენტში, როცა მას გავლილი აქვს 4 მ მანძილი?
ა) 0,5 მ/წმ ბ) 1 მ/წმ გ) 2 მ/წმ დ) 4 მ/წმ ე) 8 მ/წმ

20. გამოთვალეთ დედამიწის ზედაპირის წერტილთა წირითი სიჩქარე 60° განედზე დედამიწის დღელამური ბრუნვისას. დედამიწის რადიუსი ჩათვალეთ 6400 კმ-ის ტოლად. (ეკვატორის განედი 0° -ია)


- ა) $800/3$ კმ/სთ ბ) $800\pi/3$ კმ/სთ გ) $800\pi/\sqrt{3}$ კმ/სთ დ) $1600/3$ კმ/სთ
ე) $1600\pi/3$ კმ/სთ

21. 1, 2, 3 და c წერტილები ტოლი მანძილებითაა დაშორებული q მუხტიდან. შეადარეთ ერთმანეთს q_1 მუხტის c წერტილიდან 1, 2 და 3 წერტილებში გადასატანად შესრულებული A_1, A_2 და A_3 მუშაობები.



- ა) $A_1 > A_2 > A_3$ ბ) $A_3 > A_2 > A_1$
გ) $A_1 = A_2 = A_3 \neq 0$ დ) $A_1 = A_2 = A_3 = 0$
ე) პასუხი დამოკიდებულია გადატანილი მუხტის ნიშანზე

22. ძელაკი, რომლის მასა $M=2,5$ კგ, თანაბრად მისრიალებს ჰორიზონტალურ ზედაპირზე. $F_1=10$ ნ-ს და $F_2=15$ ნ-ს (იხ. ნახ.). რისი ტოლია ხახუნის კოეფიციენტი ძელაკსა და ზედაპირს შორის? ($g=10$ მ/წმ²)



- ა) 1/4 ბ) 2/5 გ) 2/3 დ) 18/25 ე) 1

23. რამდენ ტოლ ნაწილად უნდა დაეჭრათ 48 ომი წინააღობის მავთული, რომ ნაჭრების პარალელური შეერთებისას მივიღოთ 3 ომი წინააღობა?
ა) 4 ბ) 6 გ) 8 დ) 12 ე) 16


24. გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე v სიჩქარით მოსრიალე ძელაკი ეჯახება ერთი ბოლოთი დამაგრებულ ზამბარას, რომელიც მისი შეჩერებისას შეიკუმშა x-ით. რისი ტოლი იქნება ზამბარის შეკუმშვა თუ ძელაკი ზამბარას დაეჯახება 2v სიჩქარით?
ა) x/2 ბ) x გ) $\sqrt{2}x$ დ) 2x ე) 4x

პრობლემატიკური საკითხები - 2013

25. 20 კგ მასის ერთგვაროვან ფიცარს საყრდენი აქვს მისი სიგრძის ერთ მეოთხედზე. რა მასის ტვირთი უნდა ჩამოვკიდოთ ფიცარის მოკლე ნაწილის ბოლოს, რომ ფიცარი წონასწორობაში იყოს?

- ა) 5 კგ ბ) 10 კგ გ) 20 კგ დ) 40 კგ ე) 60 კგ

26. ნახაზზე მოყვანილ PT-დიაგრამაზე გამოსახულია მოცემული მასის იდეალური აირის ოთხი მდგომარეობა. რომელ ორ მდგომარეობაში აქვს აირს ტოლი მოცულობა?



- ა) 1 და 2 ბ) 1 და 4 გ) 1 და 3 დ) 2 და 3 ე) 2 და 4


27. ბიჭი მუდმივი სიჩქარით მირბის მრავალსართულიანი სახლის კედლისკენ V სიჩქარით. კედლიდან L მანძილზე ბიჭი ხმამაღლა ყვირის და აგრძელებს სირბილს. რა მანძილის გარბენის შემდეგ გაიგონებს ბიჭი თავისი ყვირილის ექოს? ბგერის სიჩქარეა V0.

- ა) $\frac{L(v_0-v)}{v_0+v}$ ბ) $\frac{Lv}{v_0+v}$ გ) $\frac{2Lv}{v_0+v}$ დ) $\frac{2Lv}{v_0-v}$ ე) $\frac{2Lv_0}{v_0-v}$

28. სხეული აისროლეს დედამინის ზედაპირიდან ვერტიკალურად ზევით V0 სიჩქარით. რა სიჩქარე ექნება სხეულს იმ მომენტში, როცა მისი კინეტიკური ენერგია 3-ჯერ ნაკლებია პოტენციურ ენერგიაზე.

- ა) V0/9 ბ) V0/4 გ) V0/3 დ) V0/2 ე) 2V0/3

29. V მოცულობის სხეული ცურავს ორი სითხის საზღვარზე ისე როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე. რომელი ფორმულით გამოიხატება სხეულის სიმკვრივე?



- ა) $\frac{\rho_1+3\rho_2}{4}$ ბ) $\frac{2\rho_1+\rho_2}{3}$ გ) $\frac{\rho_1+2\rho_2}{3}$
 დ) $\frac{2\rho_1\rho_2}{3(\rho_1+\rho_2)}$ ე) $\frac{\sqrt{2\rho_1\rho_2}}{3}$

30. 12 ვ მძლავრ დენის წყაროსთან მიერთებულ 4 ომი წინაღობის გამტარში დენის ძალაა 2 ა. რისი ტოლი იქნება მოკლე ჩართვის დენი?

- ა) 3 ა ბ) 5 ა გ) 6 ა დ) 8 ა ე) 10 ა

31. m მასის ძელაკი მოათავსეს ჰორიზონტისადმი α კუთხით დახრილ სიბრტყეზე. ძელაკი არ ჩამოსრიალდა. ძელაკსა და ფიცარს შორის ხახუნის კოეფიციენტია μ. რისი ტოლია ამ დროს ძელაკზე მოქმედი ხახუნის ძალა?

- ა) mgsinα ბ) μmgsinα გ) μmgcosα დ) mgcosα ე) μmg

32. შემკრები ლინზის ფოკუსური მანძილია F. ლინზიდან რა მანძილზე უნდა მოვათავსოთ საგანი, რომ მივიღოთ 3-ჯერ გადიდებული ნამდვილი გამოსახულება?

- ა) F/3 ბ) 2F/3 გ) 3F/4 დ) 3F/2 ე) 4F/3

33. 3 კგ და 4 კგ მასის მქონე ორი ბურთულა მოძრაობს ურთიერთმართობული მიმართულებით, ტოლი v სიჩქარეებით. ისინი ეჯახებიან და ენეებიან ერთმანეთს. რისი ტოლია ბურთულების სიჩქარე შეჯახების შემდეგ?

- ა) v/7 ბ) 3v/7 გ) v/2 დ) 4v/7 ე) 5v/7


34. უძრავი ბრტყელი სარკის სიბრტყის მართობისადმი 30° კუთხით მოძრაობს სინათლის წერტილოვანი წყარო. მისი სიჩქარეა 3 მ/წმ. რისი ტოლია სარკეში წყაროს წარმოსახვითი გამოსახულებისა და წყაროს ფარდობითი სიჩქარე?

- ა) 0 ბ) 1,5 მ/წმ გ) $\frac{3\sqrt{3}}{2}$ მ/წმ დ) 3 მ/წმ ე) $3\sqrt{3}$ მ/წმ

35. ჰორიზონტალურ ზედაპირზე მდებარე ურიკამ გარკვეული ძალის მოქმედებით დაიწყო მოძრაობა და რაღაც დროში გაიარა 60 სმ მანძილი. როდესაც ურიკაზე დადეს 600 გ მასის ტვირთი, იმავე ძალის მოქმედებით, იმავე დროში, მან გაიარა 40 სმ მანძილი. იპოვეთ ურიკის მასა.

- ა) 240 გ ბ) 300 გ გ) 400 გ დ) 900 გ ე) 1200 გ


36. გვაქვს ტოლი სიგრძისა და განსხვავებული დიამეტრის ერთი და იმავე მასალის გამტარები. (იხ. ნახ.)



რომელი გამტარების პარალელური შეერთებით მიიღება იგივე წინაღობა, რაც აქვს V გამტარს?

- ა) I და IV ბ) II და IV გ) III და IV დ) II და III ე) I, I და III

37. ნახაზზე მოყვანილ VT-დიაგრამაზე გამოსახულია მოცემული მასის იდეალური აირის ოთხი მდგომარეობა. რომელ მდგომარეობაშია აირის წნევა მინიმალური და რომელში - მაქსიმალური?



- ა) მინიმალური 1-ში, მაქსიმალური 3-ში
 ბ) მინიმალური 2-ში, მაქსიმალური 4-ში
 გ) მინიმალური 3-ში, მაქსიმალური 1-ში
 დ) მინიმალური 4-ში, მაქსიმალური 2-ში
 ე) მინიმალური 1-ში, მაქსიმალური 4-ში

38. გვაქვს ერთი და იგივე მასის რამდენიმე სპილენძის გამტარი. განსაზღვრეთ ამ პირობებში როგორ არის დამოკიდებული გამტარების წინაღობა გამტარის L სიგრძეზე.

- ა) წინაღობა არ არის დამოკიდებული L-ზე
 ბ) წინაღობა პროპორციულია L-ის
 გ) წინაღობა უკუპროპორციულია L-ის
 დ) წინაღობა პროპორციულია L²-ის
 ე) წინაღობა უკუპროპორციულია L²-ის

5 კგ მასის თავდაპირველად უძრავ სხეულზე 2 წმ-ის განმავლობაში მოქმედებდა ერთი მიმართულების 10 ნ-ის ტოლი ძალა. ამის შემდეგ ძალამ შეიცვალა მიმართულება და სხეულზე მოქმედებდა საწინააღმდეგო მიმართულების 10 ნ-ის ტოლი ძალა. (დავალებები 39, 40, 41, 42)

39. რისი ტოლი იქნება სხეულის გადაადგილების სიდიდე ამოძრავებიდან 4 წმ-ის განმავლობაში?

- ა) 0 ბ) 4 მ გ) 8 მ დ) 12 მ ე) 16 მ

40. რისი ტოლი იქნება სხეულის გავლილი მანძილი ამოძრავებიდან 6 წმ-ის განმავლობაში?

- ა) 8 მ ბ) 12 მ გ) 16 მ დ) 20 მ ე) 36 მ

41. რისი ტოლი იქნება სხეულის იმპულსის მოდული ამოძრავებიდან 5 წმ-ის შემდეგ?

- ა) 5 კგმ/წმ ბ) 10 კგმ/წმ გ) 15 კგმ/წმ დ) 25 კგმ/წმ ე) 50 კგმ/წმ


42. რისი ტოლი იქნება სხეულის სიჩქარე ამოძრავებიდან 8 წმ-ის შემდეგ?

- ა) 6 მ/წმ ბ) 8 მ/წმ გ) 10 მ/წმ დ) 12 მ/წმ ე) 16 მ/წმ

43. ჰორიზონტალურ ცილინდრულ ჭურჭელში მყოფი V მოცულობისა და T აბსოლუტური ტემპერატურის აირი ატმოსფეროსაგან გამოყოფილია დეფლუი. დეფლუს ხახუნის გარეშე შეუძლია მოძრაობა ცილინდრში. ატმოსფერული წნევა P0-ის ტოლია. აირი გააცხელეს 4T-მდე. რა მუშაობა შეასრულა აირმა?

- ა) P0V ბ) 1,5P0V გ) 2P0V დ) 3P0V ე) 4P0V

44. წერტილოვანი q მუხტის ველის A და B წერტილებში პოტენციული შესაბამისად B ვ და 2 ვ-ია. რისი ტოლია ველის პოტენციული AB მონაკვეთის შუა წერტილში?



(q წერტილოვანი მუხტის ველის პოტენციული მისგან R მანძილზე მოიცემა ფორმულით φ=kq/R, სადაც k მუდმივია)

- ა) 3,2 ვ ბ) 4 ვ გ) 4,8 ვ დ) 5 ვ ე) 5,6 ვ

45. F ძალის მოქმედებით ერთი ზამბარა, არადეფორმირებული მდგომარეობიდან იჭიმება 2 სმ-ით, ხოლო მეორე, იგივე სიგრძის ზამბარა, 3 სმ-ით. რა სიგრძეზე გაიჭიმება პარალელურად გადაბმული ზამბარები იგივე F ძალის მოქმედებით?

- ა) 1 სმ ბ) 1,2 სმ გ) 1,5 სმ დ) 1,8 სმ ე) 2 სმ


ინსტრუქცია დავალებებისთვის № 46-48:

უნდა იპოვოთ შესაბამისობა ორ ჩამონათვალში მოცემულ სიდიდეებს ან ობიექტებს შორის. ცხრილი შეავსეთ შემდეგნაირად: ციფრებით დანომრილ თითოეულ სიდიდეს ან ობიექტს შეუსაბამეთ ანბანით დანომრილი სიდიდე ან ობიექტი და დასვით ნიშანი X (ცხრილის სათანადო უჯრაში). გაითვალისწინეთ: ერთი ჩამონათვალის რომელიმე სიდიდეს ან ობიექტს შეიძლება შეესაბამებოდეს ერთი, ერთზე მეტი ან არც ერთი - მეორე ჩამონათვალიდან.

46. მონახეთ შესაბამისობა თავისუფლად ვარდნილი სხეულის მახასიათებელ ფიზიკურ სიდიდეებსა და ამ სიდიდეების t დროზე დამოკიდებულების გრაფიკებს შორის და შეავსეთ ცხრილი.

1. გავლილი მანძილი
2. აჩქარება
3. კინეტიკური ენერგია
4. პოტენციური ენერგია
5. იმპულსი
6. სრული მექანიკური ენერგია
7. საშუალო სიჩქარე (0-t) დროის ინტერვალში

	1	2	3	4	5	6	7
ა							
ბ							
გ							
დ							




47. დაამყარეთ შესაბამისობა ჩამოთვლილ ფიზიკურ სიდიდეებსა და მათ განზომილებებს შორის და შეავსეთ ცხრილი.

- მუშაობა
- ძალა
- სიხისტე
- წნევა
- ძალის მომენტი
- სიმძლავრე

- $\text{კგ}\cdot\text{მ}^2/\text{წმ}^2$
- $\text{კგ}/\text{წმ}^2$
- $\text{კგ}\cdot\text{მ}^2/\text{წმ}^2$
- $\text{კგ}\cdot\text{მ}^2/\text{წმ}^3$
- $\text{კგ}\cdot\text{მ}/\text{წმ}^2$

	1	2	3	4	5	6
ა						
ბ						
გ						
დ						
ე						

48. სქემაზე გამოსახულ შეკრულ წრედში \mathcal{E} წყაროს ე.მ ძალაა, r - წყაროს შიგა წინაღობა, R - გარე წინაღობა, I - დენის ძალა, U - ძაბვა წყაროს მომჭერებზე, P - გარე წინაღობაში გამოყოფილი სიმძლავრე.



დაამყარეთ შესაბამისობა ჩამოთვლილ ფიზიკურ სიდიდეებსა და მათგან გამომდინარეობს ფორმულებს შორის და შეავსეთ ცხრილი.


- \mathcal{E}
- r
- R
- I
- U
- P

- $(\mathcal{E} - U)/I$
- P/U
- $\mathcal{E}^2 R / (R+r)^2$
- $(P/I) + Ir$
- U^2/P
- $\mathcal{E} R / (R+r)$

	1	2	3	4	5	6
ა						
ბ						
გ						
დ						
ე						

დავალელებში: 49, 50, 51, მოკლედ, მაგრამ ნათლად წარმოადგინეთ პასუხის მიღების გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი პასუხი არ შეფასდება.

49. ნახაზზე მოცემულ სქემაში $R_1=R_2=R_3=9$ ომს, $R_4=5$ ომს, $R_5=6$ ომს და $R_6=3$ ომს. მომჭერებზე მოდებული ძაბვაა 30 ვ.




- იპოვეთ მოცემული წრედის უბნის სრული წინაღობა.
- იპოვეთ ძაბვა R_1 წინაღობაზე.
- იპოვეთ დენის ძალა R_5 წინაღობაში.

50. ორი m მასისა და c კუთრი სითბოტევადობის ერთნაირი ტემპერატურის მქონე ბურთულა მოძრაობს გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე ერთმანეთის შესახვედრად შესაბამისად v და $2v$ სიჩქარეებით. ისინი დაჯახებისას მიეწევენ ერთმანეთს.

- იპოვეთ ბურთულების სიჩქარე მიწებების შემდეგ.
- იპოვეთ დაჯახებისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.
- ჩათვალეთ, რომ გამოყოფილი სითბო მთლიანად მოხმარდა ბურთულების გათბობას და იპოვეთ ბურთულების ტემპერატურის ცვლილება.

51. მოცემულ ნახაზზე ერთგვაროვანი ბერკეტის მასაა $5m$, ბერკეტზე ჩამოკიდებული სხეულის მასაა m , ჭოჭონაქების მასები და ხახუნი უგულებელყავით.



- იპოვეთ რისი ტოლი უნდა იყოს ჭოჭონაქზე ჩამოკიდებული ტვირთის მასა, რომ სისტემა წონასწორობაში იყოს
- იპოვეთ ამ პირობებში საყრდენზე ბერკეტის დაწოლის ძალა
- რა მასის უნდა იყოს ნახაზზე გამოსახული ბერკეტი და ჭოჭონაქზე ჩამოკიდებული ტვირთი, რომ წონასწორობის დროს ბერკეტი არ აწეებოდეს საყრდენს?

დავალელები №1-45-ის სწორი პასუხები:

ყოველი დავალების სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო მცდარი პასუხი - 0 ქულით.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
ა																										
ბ		x		x	x																					
გ				x						x																
დ		x				x				x																
ე										x																

	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45						
ა																										
ბ																										
გ		x	x			x																				
დ																										
ე																										

46. სწორი პასუხი:

	1	2	3	4	5	6	7
ა					x		x
ბ				x			
გ	x		x				
დ		x				x	

მაქსიმალური ქულა - 5.
მიღებული ქულა უდრის სწორად შევსებული სვეტების რიცხვს მინუს ორი

47. სწორი პასუხი:

	1	2	3	4	5	6
ა		x				
ბ			x			
გ	x				x	
დ						x
ე				x		

მაქსიმალური ქულა - 5.
მიღებული ქულა უდრის სწორად შევსებული სვეტების რიცხვს მინუს ერთი

48. სწორი პასუხი:

	1	2	3	4	5	6
ა		x				
ბ				x		
გ						x
დ	x					
ე			x			
ვ						x

მაქსიმალური ქულა - 5.
მიღებული ქულა უდრის სწორად შევსებული სვეტების რიცხვს მინუს ერთი

49. ამოხსნა და შეფასების სქემა.

1) (2 ქულა) R_1, R_2 და R_3 წინაღობის რეზისტორები ერთმანეთთან შეერთებულია პარალელურად. მიღებული უბნის წინაღობა იყოს R' . R_5 და R_6 წინაღობის რეზისტორები ერთმანეთთან შეერთებულია პარალელურად. მიღებული უბნის წინაღობა იყოს R'' . R', R_4 და R'' წინაღობის რეზისტორები ერთმანეთთან შეერთებულია მიმდევრობით.

$$R' = R_1/3 = 3 \text{ ომი} \quad R'' = \frac{R_5 R_6}{R_5 + R_6} = 2 \text{ ომი} \quad R = R' + R_4 + R'' = 10 \text{ ომი}$$

აბიტურიენტმა იცის წინაღობის გამოთვლა გამტართა მიმდევრობითი შეერთებისას - 1 ქულა
აბიტურიენტმა იცის წინაღობის გამოთვლა გამტართა პარალელური შეერთებისას - 1 ქულა
2) (1 ქულა) ომის კანონის თანახმად, წრედში დენის ძალაა $I = U/R = 3$ ა. R_1 წინაღობაზე ძაბვა ემთხვევა R' წინაღობის უბანზე ძაბვას, ამიტომ $U_1 = IR' = 9$ ვ. 1 ქულა
3) (2 ქულა) R_5 წინაღობაზე ძაბვა ემთხვევა R'' წინაღობის უბანზე ძაბვას, ამიტომ:
 $U_5 = IR'' = 6$ ვ. 1 ქულა
 $I_5 = U_5/R_5 = 1$ ა. 1 ქულა

50. ამოხსნა და შეფასების სქემა.

1) (1 ქულა) აღვნიშნოთ ბურთულების საერთო სიჩქარე მიწებების შემდეგ u ასოთი. იმპულსის მუდმივობის კანონის თანახმად, $m \cdot 2v - mv = 2mu$, საიდანაც $u = v/2$. 1 ქულა

2) (2 ქულა) ენერჯის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონის თანახმად,

$$\frac{mv^2}{2} + \frac{4mv^2}{2} = \frac{2mu^2}{2} + Q$$

u -ს გამოსახულების ჩასმისა და გარდაქმნის შემდეგ მიიღება, რომ

$$Q = 9mv^2/4$$

3) (1 ქულა) $Q = c \cdot 2m \cdot \Delta t$, საიდანაც $\Delta t = Q/2cm = 9v^2/8c$ 1 ქულა

51. ამოხსნა და შეფასების სქემა.

1) (2 ქულა) აღვნიშნოთ ძაფის დაჭიმულობის ძალა T ასოთი. ერთგვაროვან ბერკეტზე მოქმედი სიმძიმის ძალა მოდებულია მის შუა წერტილში. ბერკეტის თითოეული დანაყოფი ერთეულად მივიჩნიოთ. დავეწყოთ ბერკეტის წონასწორობის პირობა:

$$T \cdot 2 = 5mg + mg \cdot 5, \text{ საიდანაც } T = 5mg$$

მოდრავი ჭოჭონაქის წონასწორობის პირობის თანახმად, $Mg = 2T$, სადაც M ჭოჭონაქზე ჩამოკიდებული ტვირთის მასაა. აქედან $M = 2T/g = 10m$ 1 ქულა

2) (1 ქულა) $F_{\text{დაწ}} = 5mg + mg \cdot T = mg$ 1 ქულა

3) (3 ქულა) აღვნიშნოთ ბერკეტის მასა M_1 -ით, ჭოჭონაქზე ჩამოკიდებული ტვირთის მასა M_2 -ით, ძაფის დაჭიმულობის ძალა T -ით. ბერკეტის წონასწორობის პირობაა:

$$T \cdot 2 = M_1 g \cdot 1 + mg \cdot 5$$

საყრდენზე ბერკეტის დაწოლის ძალა ნულია, ამიტომ 1 ქულა

$$M_1 g + mg \cdot T = 0$$

განტოლებათა სისტემის ამოხსნა გვაძლევს, რომ 1 ქულა

$$M_1 = 3m \quad \text{და} \quad T = 4mg$$

მოდრავი ჭოჭონაქის წონასწორობის პირობის თანახმად, 1 ქულა

$$M_2 = 2T/g = 8m$$

ზოგადი შენიშვნები:

49, 50, 51 ამოცანათა ამოხსნების გზები უნდა იყოს ნათელი, სათანადოდ დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები არ შეფასდება. შემთხვევითი რიცხვით შეცდომაში ქულა არ აკლდება, თუ არ მიიღება ფიზიკურად უაზრო შედეგი; ერთეული არაა მიწერილი - ქულა არ აკლდება; მიწერილია მცდარი ერთეული - ქულა აკლდება; ერთხელ დაშვებული შეცდომის გამო ამოცანის სხვა ნაწილის ამოხსნისას მიღებული მცდარი რიცხვითი პასუხისათვის ქულა არ აკლდება, თუ არ მიიღება ფიზიკურად უაზრო შედეგი; თუ ამოცანის ამოხსნის გზა განსხვავებულია აღწერილისაგან, მაშინ შეფასებული ნაბიჯების ტოლფასი ნაბიჯები შეფასდება იგივე ქულებით.

თვალსაზრისი

პედაგოგიური კოლეჯის მართვა საჯარო სკოლაში



ასამთ შაფუზია

„არ არსებობს იმაზე მეტი ხელოვნება, ვიდრე აღზრდის ხელოვნება. ფერმწერი და მოქანდაკე ქმნის უსულო სურათს, ან ქანდაკებას. ბრძენი აღმზრდელი ქმნის ცოცხალ ხატს, რომლის შემხედვარე ღმერთი და ადამიანები ხარობენ.“

ნ. იოსაძე

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური პასუხისმგებლობა ისეთი სასწავლო პროცესის შექმნა, რომელიც მოსწავლეს მოამზადებს და კონკურენტუნარიანს გახდის საერთაშორისო მასშტაბით. მან უნდა შეძლოს მულტიკულტურულ მსოფლიოში ცხოვრება და მუშაობა. ამის აუცილებელი ნიშანია კი ინტერკულტურული განათლება, რომლის არსი, უპირველესად, პედაგოგებმა უნდა გაიზიარონ. მულტიკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული მრავალი პროექტი ევროპის ბევრ ქვეყანაში უკვე განხორციელდა და ამჟამად მუდმივი განვითარების პროცესშია. საქართველოს ამოცანა იყო და არის, შექმნათ გამოყენებადი სასწავლო მასალა, რომელიც განაგრძობს ინფორმაციას. მულტიკულტურული განათლების პროექტი რთულია. ამიტომაც საჭიროა, ღირებული პროდუქცია შევქმნათ, რომელმაც უნდა გამოიწვიოს დიალოგი მასწავლებლებს, მეცნიერებს და ისტორიკოსებს შორის. ამ პროექტის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს პედაგოგიური კოლეჯის მართვა საჯარო სკოლაში.

საქართველოში მიმდინარე რეფორმის ძირითადი მიზანია განათლების ხარისხის ამაღლება და მისი საყოველთაო მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა: რა არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად? პასუხი ამკარაა – ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია პროფესიონალი და თავისი საქმის ერთგული მასწავლებელი.

დღევანდელი ეპოქა, როდესაც ქვეყნის წარმატება ყველაზე მეტად იმაზე დამოკიდებულია, თუ რაოდენ განათლებული არიან მისი მოქალაქეები და რამდენად შეესაბამება მათი უნარ-ჩვევები გლობალიზებული სამყაროს მოთხოვნებს, ცხადია, მასწავლებლებსაც ახალ გამოწვევებს სთავაზობს.

ნებისმიერ სკოლაში პედაგოგიური კოლეჯის ეფექტური მართვის ამოსავალი წერტილია კარგად გააზრებული საკადრო პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს განვითარებული ქვეყნებისა და საკუთარი გამოცდილების ეფექტურ ტექნიკებს, აგრეთვე იმ საიხსარებს, რომლებსაც ადაპტაციაც მიმდინარეობს და ვითარდება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. საკადრო პოლიტიკა გულისხმობს მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებს და მეთოდებს, ასევე, წესებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელიც ადამიანურ რესურსებს სწორ მიმართულებას აძლევს, დასახული მიზნების მიღწევისას. აღნიშნული წესებისა და ნორმების ერთობლიობა ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს ფორმალურად. ამრიგად, საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება, – კადრების შერჩევა, დასაქმება, პროფესიული განვითარება, მატერიალური და მორალური სისტემების გამოყენება და სხვ. – წინასწარ იგეგმება, სკოლის საერთო მიზნებიდან გამომდინარე და აისახება სპეციალურ პროგრამებში, დროის გარკვეული მონაკვეთისთვის.

მასასადავამ, საკადრო პოლიტიკა სკოლის ეფექტური მართვის სისტემაში ყველაზე მგრძობიარე სიმი და მასზე მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია უშეცდომოდ დაკვრა.

კარგად მომზადებული პედაგოგიური კოლეჯის მართვის პროგრამა განაპირობებს ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრებას სკოლაში, რაც ზრდის შრომის მოტივაციას და შესაბამისად, მასწავლებლების საქმიანობაც უფრო სახალისო, მიმზიდველი და საინტერესო ხდება. პედაგოგიური კოლეჯის მართვა, თანამედროვე მენეჯმენტის მიღწევების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის განვითარების

რების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. სკოლაში კადრების სწორად განაწილების მაგალითად გამოგვადგება თანამშრომლების დასაქმება საკვალიფიკაციო ცნობარის (საშტატო განრიგის) მიხედვით, სადაც ამა თუ იმ თანამშრომლის კვალიფიკაციას (თანრიგს) შეესაბამება შესაბამისი სირთულის სამუშაო.

მომუშავე პერსონალი სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია, ამიტომ მისი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაა საჭირო.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა ყოველი სკოლის განვითარებისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა, რადგან მიმდინარე რეფორმის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია ამ პროცესში ჩართული ადამიანების ცოდნაზე, უნარ-ჩვევებზე, ორგანიზაციულ ქცევასა და იმ გარემოზე, რომელიც შესაძლებლობების მიზანმიმართულად გამოყენების საშუალებას იძლევა. სკოლის განვითარების გეგმის შესრულება კი, მხოლოდ შეთანხმებული, მიზანზე ორიენტირებული და პროფესიულად მოაზროვნე ადამიანების გუნდითაა შესაძლებელი. ამიტომ, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზანია სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართული პირების ერთ გუნდად შეკვრა, მათთვის ხელშეწყობა, თითოეულის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, დადებითი ნახალისება და უარყოფითის გამოსწორებისთვის ზრუნვა. ეს კი, ნათლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურით, დასაქმებისა და შეფასების ობიექტური სტანდარტებით მიიღწევა. ადამიანური რესურსების მართვის ამ ფუნქციების შესრულებით შესაძლებელი გახდება სკოლისთვის საჭირო კადრების მოზიდვა-დაქირავება, თითოეული საშტატო ერთეულის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა, მათი მოტივაციის ამაღლება. ამდენად, სკოლაში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვისთვის საჭიროა: ა) კარგად მოფიქრებული და გაცნობიერებული, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, ორგანიზაციული სტრუქტურა; ბ) გააზრებული, ეფექტური და სამართლიანი დასაქმების პოლიტიკა, რაც გულისხმობს შერჩევის, პროფესიონალიზმის გათვალისწინებით დასაქმების და აგრეთვე, გათავისუფლების გამჭვირვალე პროცედურებს; გ) დასაქმებულების შეფასების გამართული სისტემა (მონიტორინგი, შეფასება და ა.შ.); დ) ნახალისების მექანიზმების პერმანენტული სრულყოფა; ე) თანამშრომლების პროფესიული განვითარების, ზრდის პროგრამის შემუშავება და განხორციელება; ვ) სამუშაო გარემოსა და პირობების გაუმჯობესებისათვის მუდმივი ზრუნვა.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვას და მასთან დაკავშირებული სტრატეგიების განხორციელებას დირექტორსა და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი ავალებს, სამეურვეო საბჭოს და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს.

სამეურვეო საბჭოს, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, სტრატეგიული როლი – საქმიანობის მიმართულების განსაზღვრის ფუნქცია აკისრია. ამავე ფუნქციას ასრულებს ადამიანური რესურსების მართვაშიც და ამით უზრუნველყოფს სკოლის მისი დასახული მიზნების შესრულებას. ის ანგარიშვალდებულია, ერთი მხრივ, სკოლის მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების, საზოგადოების წინაშე. მის ფუნქციებში შედის: ა) საკადრო პოლიტიკის განხორციელების ზედამხედველობა; ბ) თანამშრომლების საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავების უზრუნველყოფა; გ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი ადამიანებიდან დირექტორის კანდიდატურის შერჩევა და მისი საქმიანობაზე ზედამხედველობა; დ) დირექტორის საქმიანობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა; ე) დისციპლინური კომიტეტის არჩევა; ვ) საჩივრების განხილვა და დროული რეაგირება; ზ) ბიუჯეტის დაგეგმვა, ნახალისების სისტემის შემუშავება და მასში პედაგოგიური კადრების ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

სკოლის დირექტორს, როგორც ადამიანური რესურსების მართვის აღმასრულებელ სუბიექტს, თანამედროვე მართვის ტერმინოლოგიით რომ ვისაუბროთ, მენეჯერს ევალუა ხელმძღვანელობა და მართვა ისე, რომ სკოლაში შექმნას კარგი სამუშაო გარემო – თანასწორობა, ნდობა, ურთიერთდახმარების ატმოსფერო (მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის), როგორც წარმატების საწინდარი. მის ფუნქციებსა და მოვალეობებში შედის: ა) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ბ) ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, სამეურვეო საბჭოსთან ერთად, თანამშრომლების სახელფასო განაკვეთების, პრემიების და, საჭირო შემთხვევაში, ახალ საშტატო ერთეულებთან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრა; გ) სამეურვეო საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში, თანამშრომლების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება; დ) თანამშრომლების საქმიანობაზე ზედამხედველობა, მონიტორინგი და მათი საქმიანობის შეფასების წარმოება; ე) სწავლა/სწავლების სტანდარტების შემუშავება-შეფასება; ვ) თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ზ) საჩივრების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება. ამრიგად, დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოს, სკოლის თემის (მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე.

იმისათვის, რომ თანამედროვე ხელმძღვანელმა ეფექტურად მართოს ორგანიზაცია, მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები, მენეჯერის სხვა აუცილებელ თვისებებთან

ერთად, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას უნდა ფლობდეს. მართვა, როგორც პროცესი, შემოქმედებითი კატეგორიაა და თანამშრომლებთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას ითხოვს. ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე (რა თქმა უნდა, კორპორატიული ინტერესების გათვალისწინებით), საკუთარი ქმედებების კორექტირება, კოლეგების სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა, რათა უკეთ გაანალიზოს ადამიანური რესურსები. ხელმძღვანელის მოვალეობაა ძლიერი, ერთსულოვანი კოლეჯის შექმნა (ამაზე იქნება დამოკიდებული მისი მმართველობითი საქმიანობის წარმატება. ამისათვის მას უნდა ჰქონდეს მდიდარი შემოქმედებითი აზროვნების უნარი, მაგრამ არ უნდა გასცდეს რეალობას), სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა, კომპეტენციები სწორად არის განაწილებული, ორგანიზაციის ყველა წევრს საკუთარი ადგილი აქვს მინიჭებული და ეს ყველაფერი კოლეჯის ეფექტური მუშაობის წინაპირობაა.

ხელმძღვანელის მიერ მართვის ფუნქციების განხორციელება შეუძლებელია ფსიქოლოგიის ცოდნისა და მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის გარეშე. მას მოეთხოვება თანამშრომლების ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა და მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომა. მართვა გავრეხულია ფსიქოლოგიური შინაარსით, რომლის მთავარ მოქმედ ფიგურად გვევლინება ადამიანი თავისი შესაძლებლობებით, ინტელექტით, მოტივაციითა და პიროვნული თავისებურებებით.

როგორც რთული სისტემური წარმონაქმნი, მართვა დაკავშირებულია მრავალ მეცნიერებასთან, მათ შორის ფსიქოლოგიასთანაც, ამიტომაც წარმოიშვა დამოუკიდებელი მეცნიერება – მართვის ფსიქოლოგია. მას, როგორც ადამიანის ქცევის მართვის მეცნიერების ნაწილს, უშუალო კავშირი აქვს ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებასთან, შესწავლის ადამიანის ფსიქიკას, აძლევს ფსიქოლოგიურ დახასიათებას მის მმართველობით ქმედებას და მართვის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ უნარებს აანალიზებს.

მართვის ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ობიექტი ადამიანების ორგანიზებული ქცევაა. ეს უკანასკნელი კი – არა მხოლოდ საერთო ინტერესების, მიზნების, სიმპათიების ან ღირებულებების მქონე ადამიანების ერთობლივი მოქმედებაა, არამედ იმ პიროვნებებისა, რომლებიც ერთ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული, ემორჩილებიან მის წესებსა და ნორმებს, ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, ყოველი თანამშრომლის მოქმედება ემსახურება ერთიანი ამოცანის გადამწყვეტს.

ადამიანური რესურსების შერჩევისას ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა თვისებებია აუცილებელი კანდიდატისათვის ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად – იყოს ზომიერად ევალუაბილი, მაგრამ არა ფაზილარული, პატივის სცემდეს თანამშრომლების ღირსებას, ცდილობდეს გაუგოს და დაეხმაროს მათ. ამავე დროს, მისი მხრიდან დაუშვებელია კვხვა, სიცრუე და პირფერობა. ასეთი მიდგომა საშუალებას მისცემს მას, ზეგავლენა მოახდინოს კოლეჯის სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაუმჯობესებაზე.

მმართველობითი ფუნქციის განხორციელებისას, ხელმძღვანელს ხშირად უხდება თანამშრომლებისთვის მითითებების მიცემა, რომლებსაც შესრულებისას ამ უკანასკნელების თავიანთი პროფესიული ღირსებების გამოვლენის შესაძლებლობა ეძლევა. აღნიშნულ პროცესს მმართველი უნდა წარმართავდეს დელიკატურად, მათი პიროვნული ღირსების შეუღალავად. ასეთი მმართველობითი საქმიანობა უწყვეტი პროცესია, რაც საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, ხელმძღვანელს, კარგად გაეცნოს კოლეჯის ყველა წევრს, ხოლო, მეორე მხრივ, თანამშრომლებს – აიმაღლონ პროფესიული დონე. მენეჯერმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს პედაგოგიური მიდგომის ინდივიდუალური პრინციპები, რაც ითვალისწინებს ასაკს, სქესს, ფსიქოლოგიურ-პიროვნულ თავისებურებებს. ხელმძღვანელმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას სამუშაო პროცესში და, აგრეთვე, მათი შესაძლებლობების განვითარებას. ეს ინვესტ გარკვეულ ცვლილებებს პიროვნების ფსიქიკის შემეცნებით, ნებლობით და ემოციურ სფეროებში.

ადამიანების გონიერული მართვისათვის აუცილებელია, ვიცოდეთ მათი ხასიათის თავისებურებები, რადგანაც ეს უკანასკნელი ინდივიდის ფსიქიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვკლინდება და ყალიბდება გარკვეული საქმიანობისას, სირთულეებისა თუ წინააღმდეგობების გადალახვისას.

ხასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ნიშანია კარგად გაცნობიერებული ღირებულებები და იდეალები. მის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს თვითაღზრდა. ხელმძღვანელის უშუალო მოვალეობაა, ურჩიოს შემსრულებელს პროფესიული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, თვითაღზრდის ეფექტურ გზებსა და მეთოდებზე. ხასიათი თანდაყოლილი თვისება არ არის, ყალიბდება ცხოვრების განმავლობაში. ამ პროცესში ადამიანი თავად მონაწილეობს და პასუხისმგებელია ხასიათის ნეგატიურ გამოვლინებებზე. თითოეული პიროვნების ხასიათი ინდივიდუალური და უნიკალურია.

კონკურსი

„ბაიბა მითი შინი კუთხის არამატერიული გამარჯვებული ნამუშევრები

მიზინიშვილები გვარის მიერ რძის გადაშუშავების ტექნოლოგიები

იდვის ავტორი – თინათინ მიზინიშვილი, VIII კლასი ხელმძღვანელი პედაგოგი – ელენოზა ჩიქოვანი აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელ ტყვირის საჯარო სკოლა დირექტორი – ბინი მიზინიშვილი

მიზინიშვილების გვარი სოფელ ტყვირში ცნობილია მესაქონლეობით და, განსაკუთრებით, მათ მიერ წარმოებული რძის პროდუქტების ტრადიციული სპეციფიკური და მრავალფეროვანი ტექნოლოგიებით. აქ აღწერილია და შეგროვებულია მესაქონლეთა ადათ-წესები, ტრადიციული კულინარიის ამსახველი მასალა, რომელიც ემსახურება კონკრეტულ სივრცეში ცნობილი ტექნოლოგიების პოპულარიზაციას ქვეყნის მასშტაბით და ამ საქმიანობით დაინტერესებული ადამიანების ინფორმირებას.

ჩვენი შემთხვევაში, განვიხილავთ ყველისა და სულგუნის წარმოების ტექნოლოგიას, რომელიც ადამიანთა ძირითადი საკვები პროდუქტია და, ამავდროულად, მრავალი ოჯახისთვის შემოსავლის წყაროცაა.

ჩვენი ყველი გამოირჩევა მაღალი ცხიმინობით, რაც განპირობებულია საქონლის საკვებად აბაშური სიმინდის გამოყენებით. ყველის დასამზადებლად იყენებენ სპეციალურ მასალას:

კვეთი – მზადდება შინ ღორის ან საქონლის ნაწლავისაგან.

ჩერი – ყველის ჩასადები კალაპოტი, დამზადებული თხმელის ხისაგან (თხმელის ხე ყველს სპეციფიკურობას უნარჩუნებს);

წერი – რძის მოსარევად, დამზადებული ლელვის ხისაგან (ლელვის ხის მასალა შედეგებს უწყობს ხელს).

ამოყვანილი ყველი უნდა მომწიფდეს სპეციალურ ტემპერატურაზე, სასურველია, დაიდგას თბილ ადგილას ან ოთახში უნდა იყოს 20 გრადუსი სითბო. ამ პროცესს, დაახლოებით, სჭირდება 10-12 საათი. ასე მომწიფებული ყველისაგან მიღებული სულგუნი „ფურცლოვანია“ და უფრო ნაზი არის აქვს. აღსანიშნავია, რომ მის მჭავიანობას ყნოსვითაც იგებენ.

ყველი იჭრება 5 მილიმეტრი სისქის ნაჭრებად, თანდათანობით თავსდება ნელ-თბილ წყალში და განუწყვეტლივ ვურრეთ ხის კოვზით, სანამ ერთგვაროვანი, ნელვადი მასა არ მიიღება. სასწრაფოდ ვათავსებთ თასზე, ვაბრტყელებთ და გადავკეცავთ რამდენჯერმე (არსებობს მეორე ვარიანტიც: ნაჭრები თავსდება ბრტყელძირიან თასზე და ესხმევა ადუღებული წყალი და ადგილზევე ხდება მისი მოყვანა. ასეთი წესით ყველს ნაკლები დანაკარგი აქვს). ხელში მოვიყვანთ გუნდასავით და გადავჭიმავთ ზედაპირს, მივცემთ ბურთის ფორმას, „ჭიპის“ მხრიდან ვდებთ სპეციალურ მრგვალ ფორმაში და ვასხამთ წინასწარ მომზადებულ მარილწყალს ისე, რომ დაფაროს ზედაპირი. საქმელად მიზანშეწონილია 2 საათის შემდეგ. სულგუნი საუკეთესოა, თუ მას შიგნით ცხიმის ბურთულები და ჰაერი არ შერჩა. სარეალიზაციოდ ინახება მარილწყალში, სპეციალურ რქის სათლში და თავი მჭიდროდ ეხურება, რათა გემოც შეუნარჩუნდეს და ფორმაც.

„ლიზნანალი“ – „ლილგენალი“ კველ სვანეთში

იდვის ავტორი – პაბატა ლიპარტიანი, VII კლასი ხელმძღვანელი პედაგოგი – თინა ბაზდელიანი ლენტეხის №2 საჯარო სკოლა დირექტორი – მამუკა ბაზდელიანი

„ლიზნანალი“-„ლილგენალი“ ძველი სვანური წეს-ჩვეულება იყო. დაკავშირებულია უფლის ვედრებასთან. ოჯახი ან თემი სწირავდა უფალს ცხოველს ან რაიმე ნივთს, რათა მიეღო წყალობა ღვთისგან. შეწირული ცხოველის ხორცს თემის წევრები, ქვრივ-ობლები ან გაჭირვებულები ინაწილებდნენ.

ამ წეს-ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: აერთიანებდა თემს ან ოჯახს გაჭირვებასა და საქმის წარმართვაში, ამტკიცებდა ადამიანებს ღვთის შიშსა და პატივისცემაში, ალტკიულებს სიტყვის შესრულებაში, ქვრივ-ობლისა და გაჭირვებულის თანადგომაში.

ჩვენი წინაპრების ადათ-წესების უმრავლესობა ჩემი თაობისათვის დავინყებულნი ან სახე-შეცვლილია.

ჩვენთან არამატერიული კულტურა და ადათ-წესები მჭიდრო კავშირშია რელიგიასთან. დაინტერესდით სიტყვების – „ისკვი ლუზნანეუ ხვი“, „ისკვი ლალგენეუ ხვი“ – მნიშვნელობით, შევისწავლეთ და მიხდა, ეს ინფორმაცია მოკლედ წარმოგადგინოთ.

„ლიზნანე-ლილგენე“ ნიშნავს შემოვლებას, შეწირვას. ხოლო „ისკვი ლუზნანეუ ხვი“, „ისკვი ლალგენეუ ხვი“ ნიშნავს – შინი შემოვლებული, შეწირვის შეწირული ვიყო (ასე მიმართავენ ჩვენთან მათ, ვისაც თავსაც კი ანაცვალენ). შეწირვა ორი სახისაა: 1. კერძო, ანუ ოჯახის 2. საზოგადო, ანუ თემის.

ოჯახის მსხვერპლშენიშვის დროს ღმერთს ოჯახსა და მის წევრებზე ვევედრებოდნენ და სთხოვდნენ შეწყალებას, ხოლო სათემო მსხვერპლშენიშვის დროს თემის სტიქიური უბედურებებისგან დაცვას სთხოვდნენ.

მსხვერპლშენიშვა ასე ხდებოდა: შესანიერ ცხოველს გამოიყვანდნენ, გამოაცხობდნენ ოჯახში ლემეზირს (სეფისკერი) ჯვარისმაგვარ წმინდა პურს. მოამზადებდნენ ზედაშეს – ლეინოს ან არაყს, ნატუსუნს (საკმეველი). გააკეთებდნენ და ანთებდნენ სანთელს, შემოიყვანდნენ სამსხვერპლო ცხოველს, დაისწრებდნენ ახლობლებს, უხუცესი კაცი დაიკავებდა მარცხენა ხელში ლემეზირს და სანთელ-საკმეველს, მარჯვენაში – ზედაშეს, ასტამზე (რკინის მასალისაგან დამზადებული პატარა ნიჩაბი) დაყრიდნენ ნატუსუნს, ყველა დაიჩოქებდა და შესთხოვდნენ უფალს, რაც უნდოდათ. ამის შემდეგ ნამოდგებოდნენ, სანთლით თმას შეუტრუსავდნენ შესანიერ ცხოველს მარცხენა ბეჭზე და რქებს შუა – შუბლზე, თან იტყოდნენ: ღმერთო მიიღე ჩვენგან, მოგე-მადლე წყალობა. უფალს სიტყვას აძლევდნენ, რომ ცხოველის ხორცი, როცა დაკლავდნენ, გაჭირვებულთათვის ან თემის წევრთათვის დაერიგებინათ. სიტყვის გატეხვა არ შეიძლებოდა.

ამ ცხოველის დაკვლისას იმავე ცერემონიალს ატარებდნენ, ოღონდ ახლა უკვე მადლობას სწირავდნენ ღმერთს წყალობისთვის. მარჯვენა ფილტვსა და ბეჭს ცალკე ხარშავდნენ, აკურთხებდნენ, დამსწრენი ინაწილებდნენ, იქვე მიირთმევდნენ (იშვიათად შინ მიჰქონდათ).

ძველად ამ პროცესს მღვდელი წარმართავდა. ფილტვსა და ბეჭს ძღვენად მიართმევდნენ მას. უნდა აღვნიშნოთ, რომ შესანიერი, ანუ შემოსავლები შეიძლებოდა ყოფილიყო ძვირფასი ნივთი, სამკაული ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთი, ვერცხლის ან ოქროსი, მაგრამ ეს ნივთი აუცილებლად ტაძარში უნდა მიეტანათ და შეენიშნათ. „ლიზნანე“ კი, იმავე წესით შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ადათი დღეს მივიწყების პროცესშია, რაც არ არის მისასალმებელი.

სახალხო წეს-ჩვეულება – ჭონა

იდვის ავტორი – მარიამ კაბულაშვილი, VIII კლასის მოსწავლე ხელმძღვანელი პედაგოგი – ნადია ზურაბაძე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზის საჯარო სკოლა სკოლის დირექტორი – ლალი დიდუბაშვილი

ზეპირი მხატვრული შემოქმედებისა და ჩვეულებების დაცვა და გავრცელება ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. ასე ვართ ჩვენც. იმ სახალხო დღესასწაულ-

ბიდან და ჩვეულებებიდან, რომელიც ჩვენს სოფელში იმართება, განსაკუთრებით გამოვყოფდი ჭონას, რომელსაც ბავშვები ყოველ წელს მოუთმენლად ველით. ჭონა, თავდაპირველად, საგაზაფხულო სიმღერა ყოფილა, რომელიც ფრინველთა გამრავლებაზე მიუთითებდა, ხოლო შემდეგ სიმბოლურად დაუკავშირდა ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ჩვენს სოფელში ჭონის ასეთი წესია შემორჩენილი, რომელიც წითელ პარასკევს იწყება და ალდგომამდე გრძელდება: ბავშვები, წინა დღეს, შევიკრიბებით, შევთანხმდებით და მეორე დღეს, საღამოს, შეგვხვდებით დათქმულ ადგილას, თან პატარა კალათა გვექნება კვერცხების შესაგროვებლად. ოჯახში სტუმრობისას პირველად ამ სიტყვებს დავიძახებთ სამჯერ: „ღმერთმა ეს ოჯახი ააშენოს!“, ხოლო შემდეგ ვინცებთ სიმღერას:

„მაღლა სარი ავისროლე, ძირს დაეცა ზუზუნითა, დედი, ერთი კვერცხი მოგვე, ნუ გაგვზავნი ბუზუნითა“.

„ორლობე ამოვიარე, ქინძი კამას ეხვეოდა, სიცოცხლე და სიხარული სულ თქვენს ბავშვებს ეხვეოდა“.

თუ ოჯახში პატარა ბავშვი ჰყავთ, მის სახელს ვიტყვით, მაგალითად, „სულ თქვენს დათოს ეხვეოდა“ და განსაკუთრებულად უხარიათ.

ვინც კვერცხს არ გამოვიტანს, დავემუქრებით ხოლმე, თქვენი სახლის წინ გავგორდებით, რაც იმის ნიშანია, რომ იმ წელს მათ ქათმები აღარ გაუმრავლდებოდათ (ვიცი, ეს ცრურწმენაა, მაგრამ ჩვენი წინაპრების ჩვეულებას ვაგრძელებთ).

ჭონის სიმღერებს შემდეგი სიტყვებით ვამთავრებთ:

„ალათასა, ბალათასა, კვერცხი უნდა კალათასა.“

„ერთი კვიცი, ორი კვიცი, ამის მეტი აღარ ვიცი.“

როდესაც შემოვლას დავამთავრებთ, დავითვლით კვერცხებს, გავიყოფთ თანაბრად და შინ მხიარულები ვბრუნდებით.

ვამაყობ, ჩვენი ხალხი ასე გულმოდგინედ რომ იცავს სხვადასხვა წეს-ჩვეულებას. იყო გაჭირვება, მაგრამ მათ შეძლეს, ბევრი დაუწიყარი სახალხო დღესასწაულის ჩვენამდე მოტანა.

მესამონღობასთან დაკავშირებული სანესჩვეულებო რიტუალები ვილქვის თიხში

იდვის ავტორები – თამარ მანაძე, IX კლასი; ძრისტინა ჭიჭინაძე, IX კლასი; ბონა ნიფარიძე, VI კლასი, სოფელ ველევის საჯარო სკოლის ქართულის წრის წევრები ხელმძღვანელი პედაგოგი – ეკატერინე ჭიჭინაძე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლა სკოლის დირექტორი – კატაშა მომსაძე

ჩვენი სოფელი ველევი ქვემო რაჭაში მდებარეობს, კერძოდ, რაჭის ქედის მარჯვენა ფერდობზეა შეფენილი. მთიანი სოფელია. აქ ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ, დიდი გულმოდგინებით ასრულებდნენ და ნაწილობრივ დღესაც ასრულებენ ამ დარგთან დაკავშირებულ სანესჩვეულებო რიტუალებს. განსაკუთრებით გამოირჩეულია ბარბალობა და ბოსლობა, შელოცეები.

ამ რიტუალების მიზანი, ოჯახის სიძლიერეზე ზრუნვასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის ერთგვროვანი ცხოვრების დღეების გალამაზება იყო. ყველა რიტუალი ხომ ხალხური დრამაა. აგრეთვე, ამ რიტუალების საკრალური ხასიათი ადამიანებს გარკვეულ დადებით განწყობას უქმნის და ფსიქოლოგიური განმუხტვის საშუალებას წარმოადგენს.

ბარბალობა

ბარბალობა ყოველთვის ოთხ ქრიშობის თვეს არი, ახალი სტილით 17 დეკემბერს, ახალი წელი თუ ადამიანების დღე არი ჭი, ბარბალობა წვრილმისა და საქონლის დღე არი. წვრილმის ვეჭყვით: ქათამს, ინდოურს, ბატს, იხვს; ცხვარს, გოჭს, ღორს. ყველა ოჯახი დიდი გულმოდგინებით ემზადება ამ დღის აღსანიშნავად. ბარბალობის წინა საღამოს ყველა ჭურჭელს წყლით ავსებენ, ოჯახი სავსე იქნება. თუ რამეა განათხოვრებული ან ნანათხოვარი აუცილებლად უნდა დოუბრუნო, ან დეიბრუნო, თვარა საქონელი დარჩება გარეთო. ბარბალობა დღეს ვინმესთან დაძახება არ შეიძლება, საქონელს ნადირი დაბლაველსო. საბარბალობოდ ყველა ოჯახი გულდაგულ ემზადება. აცხობენ ლობიან პურებს, ნიგვზიანებს, ჯვარდასმულ განატყხს.

მაგრამ ბარბალობას ოუცილებლად უნა ჭი, ბაჭულეები, კვასკაკლიანი პურები, რომლებიც შემდეგნაირად მზადდება: ხმელ კვასკაკლს დაჭყრიან გობუნაზე და წარეკავენ, ფშუტე წინ მოირეკება და გადაჭყრიან. გულსავსეს კი, ცხელ კეცზე დაჭყრიან და მოჰკვარავენ. მეორე დღე ჯორკოში დანაყავენ და გარეცხავენ. ჩენრო წყალს გადაჰყვება, გული დარჩება. ბევრი რეცხვაა საჭირო, კარქათ რო გასუფთავდეს. შემდეგ უზამენ მარილს გემოვნებით, ზოგმა ცოტუნია სამინდი და ქბულის შერევაც იცის გასაბარაქიანებლად: შემოსდგამენ ნელ ცეცხლზე და ნამოდულდებენ, სანამ ნამოდულდებოდეს, მალ-მალე უნდა მორევა, ფსკერზე რო არ მიიკრას. რაეარც ბატს, ისთე მოდგება ჭურჭლის თავზე. ნელ-თბილს განურავენ საცერზე, მისთვის, ბებო, კოკლოჩინა სანური მქონდა. კარქა უნდა დეინუროს, პურში ჩართვისას თხელი რო არ იყოს და არ გამოვიდეს ცომიდან და ნახლავი რომ კარქი გამოვიდეს. ქალები ამაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გაცივებული ნახარში თავზე ცხიმს მოიყენებს, მორათმევენ და გამოცხვარ პურს თავზე ნაბჭკენით მოუსმევენ. ბაჭულეს ოთხყურს აცხობენ უმეტესწილად.

ბარბალობას მაკერიელობა იციან. ოჯახს ოუცილებლად უნა ჰყამდეს მაკერიელი. წინა დღეს მოილაპარაკებენ ოჯახში, თუ ვინ მოინვიონ მეკველედ, ვინ არის კარგი ფეხის. დილით ადრე ადგება ოჯახის უფროსი, სახლის მაკერიელი, მეტწილად ქალი, დაანთებს ცეცხლს ბუხარში, ახლა ქვე ვილა იცის ბუხარი! ყველას ფეჩები უდგაიყავ. ყვირაბ ჯირკებს მიუწყობენ კერისას, კარქი ნაკვერცხალი რო დაყარო და ბევრი ნაპწკიალი რო გასცვინდეს. მაკერიელს ნაგულელები აქვს ჯობი ცეცხლში შესაჩიხინებლად. მეფეხურს კარს სახლის მაკერიელი გოულეებს. დოუძახებლად უნდა შევიდეს სახლში, ოჯახში შესული იტყვის: „ღმერთმა მრავალ ბარბალობას დაგასწროთ!“ ბუხარს მიუჯდება, შოუხათარიკებს ცეცხლს, ჯოხს დაჰკრავს მუგუზალს, გაყრევიანებს ნაპწკიალს და სამჯერ იტყვის: „ამდენი გოჭი-ქათამი!, ამდენი გოჭი-ქათამი!, ამდენი გოჭი-ქათამი!“ – დასძახის მასპინძელი. შემდეგ განწყობილ სუფრასთან მიიწვევენ, უმეტესად ტაბლას კერის პირს დოუდგამენ და დაალოცვინებენ ოჯახს. მეკველე სამ ჭიქაზე მეტს არ დალევდა. დათრობა არ შეიძლება, წვრილმი დეინყებს ბარბალობა. თუ კარქათ ჭამს მაკერიელი, ოჯახი მთელი წელი მაძლარი იქნებაო, ასე ვიცი ძველებიდან.

ბარბალობას ზოგი უქმობს, ზოგი არა, ბარბალო საქმიანი ქალი იყო.

მაკერიელმა ოჯახს შეიძლება მიუმკვლიოს ღვინო და ბაჭულეები. ასევე ოჯახმა შეიძლება გაატანოს ღვინო და ბაჭულეები (კვასკაკლიანი პურები). ბარბალობი კვირაში თუ ვინმე რამე საქმეზე მივა ვინმესთან, ოუცილებლად შეინვევენ ოჯახში და ფეხს დააბრძენინებენ – გოუმასპინძლდებიან ბაჭულეთა და ღვინით, დაალოცვინებენ ოჯახს. თუ ვინმემ იუარა „ასე ეუბნებიან: „ქვე დაჯექი ბოშო და დეილოცე, თვარა ქათმუკა არ დამიჯდებაო“. ფეხის დაბრძნა ოუცილებელია. ოჯახი მაძლარი იქნებაო.

ბოსლობა

ბოსლობა შუა ზამთარიაო. ბოსლობის კვირა კიდო – სათოვარიო. ასე მოდის ძველთაგან. ბოსლობი კვირაში ხუთშაბათ საღამოს, მაკრატელს წართის ძაფით შეუკრავენ პირს. მერე არც

კონკურსი

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

კერვა და არც ქსოვა არ შეიძლება, ნამატისთვის არის ცუდიო. ბოსლობა ყოველთვის შაბათ დღეს აღინიშნება. ამ დღეს ხდება საქონლის შელოცვა. ხუთშაბათს კი, ღორებს ულოცავენ და მას გოჭიხუთშაბათს ეძახიან. ასე გვმოდერავს სოფლის უხუცესი ქალბატონი ნელი ლევანტის ასული გორგიაშვილი. მან გვიამბო:

უნდა გამოცხვებს განატეხი, დიდი ლობიანი პური. განატეხის ცომზე არც მოკლება და არც მიმატება არ შეიძლება. არც განატეხის გაჭრა არ შეიძლება, უნდა დატეხო. განატეხი გამოცხოვრებულ ქათმის ან ინდოურის ფრთების ან კუდის ბუმბულისაგან შეკრული ნაფტკენის ბოლოთი ჭრელდება და თან იტყვი: „ამდენი გოჭი -ქათამი!“ უნა აანთო სანთელი, უკეთესია თუ შენი სახლის იქნება და შენი ჩამოქნილი. დაალაგებ გობზე განატეხს, სანთელს, სახნისს და ხუთშაბათს ნართის ძაფით პირშეკრულ მაკრატელსა და კვერცხს. მომლოცველი მოიკიდებს ბოშს ზურგზე, ხელში გობი უჭირავს, მიდის ბოსელში და თან ამბობს: „ბოსელ-ბოსელ ბუ, შავი ხარი ყრუ!“ (ამ სიტყვებს უფრო ხშირად ბოში იძახის. ბოსელში შესული ანთებს სანთელს, მოურუნამს ბენვს ყველა პირუტყვს ყურთან ან ზურგზე და ეტყვის: „ასე დეინვას ყველა შენი ავადმყოფობა“. ეილებს პირშეკრულ მაკრატელს, ყველას გადაავლებს ზურგზე და ეტყვის: - სანამ მე ეს ჩემი ხელით არ გავხსნა, მანამ არ გვიხსნას ნადირის კბილი შენმა შესაჭმელად. ეილებს სახნისს, გადაავლებს ზურგზე ყველას და ეტყვის: - რავარც ეს სცდებოდეს დღეს ხვნისაგან და თესვისაგან, ისე განყდა შენი შემეჭმელი ნადირი; ეილებს კვერცხს. ყველას გადაავლებს ზურგზე და სამჯერ ეტყვის: „სუქდებოდე, კეთდე-ბოდე, ნადირსა ერიდებოდე!“ დამალამს კვერცხს, დალოცამს ღვინით საქონელს, მიაყოლებს განატეხს და ნამოვა სახლში, მოადგება ჩაკეტილ კარებს და იძახის:

- კარი რკინისა!
- არა, მე უფლისა!
- კარი რკინისა!
- არა, მე უფლისა!
- კარი რკინისა!
- არა, მე უფლისა! ხარებმა რა შემოსთვალეს?
- სახვენელ-ულელი დამზადეთ, ჩვენ მზადა ვართო!
- კაცებმა რა შემოსთვალეს? (კაცები, მოხუცების გარდა, ზამთრობით სამოვარზე მიდიოდნენ და სააღდგომოდ ბრუნდებოდნენ და მოსავდნენ ოჯახს).
- აკვნები გაამზადეთ, ჩვენ მზადა ვართო!

სახლში მყოფს გამზადებული აქვს გობუნაზე წყალში მოსვრილი ქატო და კარს რო გააღებს, მიაყრის სახეში, წვრილმისთვის არი კარქიო. სახლში შემოსული მომლოცველი ნართით პირშეკრულ მაკრატელს ღადარში ჩადებს და ისე გახსნის.

მეორე დღეს, კვირას, დამალული კვერცხის მოსაძებნად ბოსელში ბოშს ნეიყვანენ. თუ იოლად ნახამს, იმ წელიწადს საქონელს ადვილად ნახამს და ღამე გარეთ არ დარჩებათ. კვერცხს ის შეჭამს, ვინც ნახამს.

ლორის შელოცვა ზოგმა ხუთშაბათს იცის, ზოგმა - პარასკევს. უმეტესად ხუთშაბათს და გოჭიხუთშაბათს უძახიან. გოჭიხუთშაბათს ან გოჭი უნა დაკვას, ან მამალი. მომზადებულ კერძს სადილად მიირთმევენ. უნდა გათავდეს ოუცილებლად. თუ რამე დარჩა, მას კვირამი ჩაასხამდნენ, ვახშმად მისი გადაყოლა არ შეიძლებოდა, ამიტომ ასეთი ნათქვამი არსებობს: „აი, შე გოჭიხუთშაბათა, სადილ მადლარა და ვახშამ მშიერაო“. ღორების შელოცვა ასე ხდებოდა; ეილებ ხელში ქვასანაყს და იტყვი: „რავარც ეს ქვასანაყი სცდებოდეს ჭირისაგან, ყაპოსაგან, ჩხრუნკვისაგან, ისე ჩემი ღორები გასცდნენ ყველა გლახა საქმისაგან“.

შელოცვაები

როცა საქონელი ღამე კარში დარჩება, ნადირმა რო არ ავნოს, ასე შეულოცავენ, ეილებ ძაფს, შოუკრამ კბილს მაკრატელს (ძაფს შემოახვემ კბილებზე), გოუნყვეტლადვე შემოახვემ იმავე ძაფს მაკრატელსა და სკამს, დადგამ კერიასთან და შეულოცამ:

- „ეკენია, ბეკენია, ნადირთ კბილი შეხეჭენია, რუსო და რუსო ქვეყნის ასულო, კლიტე მომეცი. - რისისა? - ხართა ეშმაკისასა. ჩავაგდებ წყალში, არ გაოუშვებ გზაში ჩემი საქონელის მავნებელს“.
ან კიდევ, გამოფსკვნიან ნართის ძაფს, ჩამოჰკიდებენ კერიასთან და იტყვიან: „ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი სვენებია, მეუფეო, ჩამოაგდე ცხრაკლიტული ბეჭედია. ნადირს კბილი შეუკარი, ჩააგდე ზღვაში, ნუ გოუშვებ გზაში. მიეც ნადირს ჩალის კბილი, ნაბდის ბრჭყალი. აარიდე ჩემს საქონელს ნადირის კბილი“.

(მთქმელი: ნელი ლევანტის ასული გორგიაშვილი, დაბადებული 1929 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ველევში, არასრული სამუალო განათლებით, პენსიონერი)

ლექსიკონი

Table with 2 columns: Term and Definition. Includes terms like 'არი - არის', 'ბოში - ბავშვი', 'გობუნა - ხის მრგვალი პატარა ჩაღრმავებული ჭურჭელი' etc.

„ბატონები“

იდვის ავტორი - ძრისტინე გომბაძე, XI კლასის მოსწავლე ხელმძღვანელი, პედაგოგი - მზია შიშარდნაძე ოზურგეთის მესამე საჯარო სკოლა სკოლის დირექტორი - ნანა ბაბუა

მოკლე აღწერილობა

დიდ მოკრძალებას და ყურადღებას მოითხოვს ოჯახის წევრთაგან და სტუმართაგან ე.წ. „ბატონები“.

ბატონები - ბავშვთა გადამდებ ავადმყოფობათა (ნითელა, ყვავილა, ქუნთრუშა, ყივანახველა) საერთო ხალხური სახელწოდებაა.

ქართველთა ძველი რელიგიური შეხედულებებით, ამ სნეულებას ინვედნენ ანთროპომორფული სახის პატარა ზებუნებრივი არსებები, ე.წ. „ბატონები“, ანგელოზები. დაავადებასაც, შესაბამისად, ყვავილა-ბატონები, ნითელა-ბატონები, ხველა-ბატონები და ა.შ. ეწოდებოდა.

მორწმუნეთა წარმოდგენით, ბატონები ამა თუ იმ სოფელში მობრძანდებოდნენ და რომელ ოჯახსაც ეწვეოდნენ, იქ ავადმყოფობა ჩნდებოდა.

სწამდათ, რომ მათ მუსიკა, ცეკვა, ტკბილეულობა უყვარდათ და, თუ სურვილს აუსრულებდნენ, დაავადებებიც ადვილად გაივლიდა. ამიტომ, ავადმყოფის პატრონები მორთავდნენ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ ე.წ. „ბატონების ხეს“, დგამდნენ ტკბილეულით განყოფილ ტაბლას, უკრავდნენ ფანდურზე, მღეროდნენ ბატონების საგალობელს, ცეკვავდნენ „საბოდიშოს ქალთა ჯგუფი“ და გარკვეულ ალკვეთებს იცავდნენ.

დღესაც, ბატონების დაბრძანების შემთხვევაში, ოთახს ყვავილებით მორთავენ, განსაკუთრებით იებით. შემდეგ იის წყალს გამოხდიან (იას წყალში ჩაყრიან, „მოჟღელენ“, ზეთით რომ გახდება, მოასხამენ ოთახში). იის მშვენიერი სურნელი სიამეს ჰყვენს ყველას, განსაკუთრებით ავადმყოფს. ოჯახის წევრებს შავეები თუ აცვიათ, გაიხდიან და გადაპყრიან, თეთრებს ჩაიცვამენ.

ბატონებს არ უნდა ექიმი და წამალი. მიაჩნიათ, რომ მას ადამიანივით ეყურება, უნდა ესაუბრო: „ბატონებო, ბედნიერო, მოუოხე ჩემ ბალანას. ლამაზო და მშვენიერო, ბედნიერად მობრძანებულხარ და ბედნიერად ნაბრძანდი. ღმერთო, მიე თვალში სინათლე და ყურში სმენა ჩემ ბალანას“.

წინათ, როცა საქმე უკიდურესობამდე მივიდოდა, დედა წელზე ჩალას შემოიხვევდა, ქვას გულზე დაიკიდებდა და ასე ფორთხვით შემოუვლიდა ბავშვის სანოლს, ქვეშაც გაძვრებოდა, მინასაც შეჭამდა და ისე შესთხოვდა ბატონებს დანყარებას, ბავშვის მიტევენას.

წითელა ბატონების დროს მეზობლის ბავშვები კრეფენ იებს, ვარდებს, მოაქვთ წითლად შეღებილი კვერცხები, ბატონებიანი ბავშვის სანოლს შემოუვლიან და უბოდიშებენ, მართავენ კონცერტს, მღერაინ:

„მოუოხე, ბატონებო, ბატონებო, მოუოხე, ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ფენია... თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი, აგერ თიკანმა იხტუნა, გაუხარდა ბატონებსა და უცებ პირი იბრუნა... ბატონებო, მოუოხე, მოუოხე, ბატონებო, ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ფენია...“

ბატონები მეცხრე დღეს პირს იბრუნებდა. ბატონებთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალიდან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ბატონების“ მსახურს, რომელიც გამოირჩეული იყო და დიდ პატივს სცემდნენ, უნდა სცოდნოდა გასართობი ამბის ტკბილად მოყოლა, ბატონების სმენის დატკობა, ჩონგურის დაკვრა და სიმღერები, რომ ბატონები „არ გაბრაზებულიყო“.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ხალხურ ზნე-ჩვეულებებს, ისინი ნათელს ჰყვენდნენ მშობლების, ახლობლების, ტოლების დამოკიდებულებას ბატონებდამრძანებული ბავშვის მიმართ, შიშს, სიფრთხილეს ავადმყოფობის მიმართ. უმთავრესი რიტუალის სვენიერი (გაცნობიერებული, გონიერული) ფორმებით წარმოსახვაა, რაც კიდევ უფრო ცხადყოფს „ყვავილბატონებთან“ დაკავშირებული წეს-ჩვეულებების დღემდე სიცოცხლისუნარიანობას.

შობა-ახალი წელი გურიში

იდვის ავტორი - შიშარია ჩხანიძე, XI კლასის მოსწავლე ხელმძღვანელი პედაგოგი - მზია შიშარდნაძე ოზურგეთის მესამე საჯარო სკოლა სკოლის დირექტორი - ნანა ბაბუა

მოკლე აღწერილობა

შობა-ახალი წელი - კალანდა - გურიში საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. ხალხური გადმოცემით, კალანდობა წმინდა ბასილის დღესასწაულია, ამავე დროს, „ბედობა“ და „საბრძნილო“ დღე არის. გურულის ღრმა რწმენით, კალანდას რასაც „დეიბედებს“, იმავეს მოიმკის მთელი წლის განმავლობაში.

სამობაო რიტუალი რომელიც დღემდე შემორჩენილი, მუცლის სალოცავებისა და საშობაო ღვეზელების ცხოვება. ღვეზელს ადრე კეცებზე აცხობდნენ - „...მუცლის სალოცავი პატარა-პატარა კორგებია და შუაზე ერთი გამხმარი კვერცხია დატანებული. ყველა ერთი ზომის და ღირსებისაა“.

ღირსება ყველისა და კვერცხის მეტნაკლებობაშია და თითოეულ სულზე თითო ცხვება. ღვეზელი სამკუთხედაა, აცხობენ სათითაოდ. ის არ არის ერთი ზომის, აცხობენ საუფროსოს და საუმცროსოს, ზოგს 4-5 კვერცხს „მიურთავდნენ“. განსაკუთრებულს გამოაცხობდნენ, აგრეთვე, სასტუმრო და მეალილოეს საჩუქარ ღვეზელს.

გურულები ახალ წელს, იგივე „კალანდას“, აღნიშნავენ ჩიჩილაკის მორთვით, ხის თეფშზე აწყობენ ხაჭაპურს, ღორის თავს, ტკბილეულს, ღვინოს. სვამენ ბედნიერებისა და კეთილდღეობის სადღეგრძელოს. გურულების შობა-კალანდის ამბავი კი ასე დადგენილია - რაც არ უნდა მშრალი იყოს ზამთარი, ძველით ახალ წელს მაინც გათოვდებაო, ამბობენ გურიში და მართლმადიდებელი კაინი - 13 იანვრის ღამეს ყოველთვის თოვს, დგება ნამდვილი ახალი წელი - კალანდა... ვიდრე კალანდობის ღამე შემოვა, საცეცხლედ წინასწარ არჩევენ ცხემლას და 13 იანვარს ბუხარში შეუძახებენ. სანამ 12 საათზე თოვების გამაყრუებელი ბათქაბუთქი ამტყდარა, სოფელში მხოლოდ ძაღლების ყეფა, შუშის ტყაცუნი ისმის... მთებს ჩახუტებულ პატარა გურიში კალანდა ჩიჩილაკთან ერთად შემოდის... „კალანდა“ ლათინური სიტყვაა და ახალი წლის პირველ დღეს ნიშნავს. ფრაზები: „საკალანდო პური და ღვინო“, „საკალანდო ღორი“, „ღორის ყბა“, „კალანდის“ დღესასწაულს უკავშირდება.

კალანდის მთავარი ატრიბუტია „ჩიჩილაკი“, კალანდობის „მზის“ სხივები - ჩიჩილაკის ბურბუშელაა (საერთოდ კი, დღეს, სიმბოლურად, წმინდა ბასილის წვერადაა მიჩნეული), თავად ჩიჩილაკი კი - მზე. ზოგჯერ გურიში 2-მეტრიანი ჩიჩილაკებსაც თლიდნენ და ჯვრით ამკობდნენ, ხოლო ძირში სუროს უფენდნენ (გურულებმა ისიც იციან, რომ სურო ოლიმპის ერთმა ღმერთმა დიონისეს გადააფარა, რათა მტრების ცეცხლში არ დამწვარიყო). ჩიჩილაკზე შემოხვეული სურო სიმბოლურად სინედლესა და სიცოცხლეს უბეძებდა ოჯახს.

„საკალანდო ღორი“ სპეციალურ ადგილზეა მოთავსებული და მას კარგად კვებენ, თან „სუქ, სუქ, სუქს“ ეძახიან, რაც იმის გარანტიაა, რომ საკალანდო სუფრა ძალიან გემრიელი და მსუყე იქნება.

„კუჩხა“ კალანდის მეორე დღეა, უძველესი ტრადიციის მიხედვით ირჩევენ „ფხვადს“, ანუ ადამიანს, რომელიც ოჯახში პირველი შეადგამს ფეხს შუალამის შემდეგ, მოაქვს საჩუქარი და ისვრის თოფს ან ანთებს ბუხარს და ა.შ., რათა ბედნიერება დაუბედოს ოჯახს.

„ღორის ხუთშაბათი“, აგრეთვე, კალანდის შემდეგ მოდის. ძველად ანთებდნენ სანთელს, მაგიდაზე შემწვარი ღორის ხორცს შემოუწყობდნენ დარჩენილ ღვინოსა და ხაჭაპურს.

ახალ წელთან მთელი რიგი რწმენა-წარმოდგენები და აკრძალვები იყო დაკავშირებული - არ შეიძლებოდა ტირილი, ცემა, წყევლა; ხეს არ მოჭრიდნენ - ოჯახის უფროსი გარდაიცვლებოდა, ნემსს არ იხმარდნენ - ახალგაზრდებს ბედი „დეეკერებათო“, სახლიდან არაფერს გასცემდნენ - ოჯახს ბარაქა მოაკლდებაო; მთელი დღე გურული კაცი ლოცვასა და ნატვრაში იყო. ტრადიცია დღესაც გრძელდება, გურულები ახლაც შესაშური სიუხვით ხვდებიან შობა-ახალ წელს (ოღონდ თბილ კერას ჭრაქის შუქი არ ანათებს) - ღორის თავი, ინდაურის საცივი, ჭყინტი ყველიანი ხაჭაპური, ბებიას საგულდაგულოდ გადამალული „ჩურჩხელები“, ბუხარი გიზგიზებს, მშვიდობის სადღეგრძელოსაც სვამენ და, ალბათ, არასოდეს განელდება ეს უძველესი ტრადიცია, რომელიც შემორჩენილია „წარსულისადმი გრძობა-პატივი“, სისასის, დოვლათიანობის, გამრავლების, ბარაქისა და სიუხვის სიმბოლოები.

სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები ისტორიაში

(წერილი II)

დღევანდელ წერილში შევეხებით ისტორიის სწავლების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორცაა **წყაროს ანალიზი**. წერილობითი წყარო არის ის რესურსი, რომელიც მოსწავლეს განუმტკიცებს და გაამდიდრებს სახელმძღვანელოს საშუალებით მიღებულ ცოდნას, გაუღვიძებს ინტერესს საგნის მიმართ, გამოუმუშავებს კლასიფიკაციის, ანალიზის და ფანტაზიის უნარს. ამ მეთოდის გამოყენებისათვის მასწავლებელი წინასწარ ამზადებს წყაროებს, მასალას, კითხვებს, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის აღმოჩენისკენ. ამ მეთოდით მუშაობისას მოსწავლე ასრულებს ისეთ საპრობლემო ოპერაციებს, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, დასკვნების გაკეთება, ჰიპოთეზის წამოყენება, შეფასება. ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, აღძრავს მოტივაციას, აძლიერებს პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლობას, ავითარებს შემოქმედებით და პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, მოსწავლეები იყენებენ საკუთარ გამოცდილებას. წყაროების ნაკითხვა და მათი გააზრება მოსწავლეებს ასწავლის სახელმძღვანელოდან ნასწავლი მასალის და წერილობითი წყაროს დაკავშირების, ისტორიულ ტერმინოლოგიას და ცნებებს, ტექსტიდან ძირითადი გამოყოფის და სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის დაჯგუფებას, ამ წყაროებში გამოყოფილი მონაცემების სანდოობას, მარტივ ანალიზს. წერილობით წყაროებზე მუშაობისას მოსწავლეს უფიქრობდათ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა – ისტორიული და გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა, ისტორიული და გეოგრაფიული კვლევა, პრობლემის გააზრება, იდენტიფიკაცია და კავშირების დადგენა და ა.შ. თქვენ შეგიძლიათ კონკრეტული გაკვეთილისთვის წინასწარ მოამზადოთ წერილობითი წყარო, რომელსაც გამოიყენებთ გაკვეთილის ჩატარების პროცესში. განსაზღვრავთ აქტივობების ჩატარების თანამიმდევრობას და მოსწავლეთა ორგანიზების ფორმებს, მათი ჩატარების სავარაუდო დროს და შეფასების ხერხებს და კრიტერიუმებს. ასევე კონკრეტული გაკვეთილისთვის შეგიძლიათ წინასწარ მოამზადოთ ნივთიერი წყაროები, რომელთაც გამოიყენებთ გაკვეთილის ჩატარების პროცესში. წყაროებთან მუშაობა ხდება როგორც საკლასო ოთახში, ასევე კლასის გარეთ – სკოლის ეზოში, ექსკურსია-ლაშქრობაში, შესაძლებლობის შემთხვევაში – მუზეუმებში და ა.შ. წინასწარ მოამზადეთ კითხვები და დავალებები, მაგალითად: რა მასალისგანაა დამზადებული ესა თუ ის ნივთი და რა გამოყენება (სამუშაო თუ საბრძოლო) ჰქონდა მას? შეგიძლიათ ამ წყაროების მიხედვით იმსჯელოთ იმ ხალხზე, ვინც ისინი დაამზადა? აქტივობების და მასალის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ მოსწავლეთა ასაკი და უნდა შეარჩიოთ შესაბამისი წყარო. ამ დროს უნდა განსაზღვროთ, სასწავლო პროცესის და მიზნის უზრუნველსაყოფად რა რესურსებია საჭირო? არის ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში ან თემში? ხშირად ის რესურსები, რომელიც გჭირდებათ, არ გაქვთ ან ვერ გამოიყენებთ მათი დიდი ფასის გამო. ამ დროს შესაძლებელია ჩანაცვლება იმით, რაც ხელმისაწვდომია. შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი და ახალი ყოფითი და საოჯახო ნივთები (თიხის, ლითონის, ხის ნაკეთობები). ყოველივე ზემოთქმულის გამო, რომ როგორც ეროვნული გამოცდილება, ასევე მასწავლებელთა სასტრუქტურული გამოცდილების ტესტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დავალების ტიპს – წყაროს ანალიზს. კიდევ ერთხელ უნდა გირჩიოთ, რომ გამოცდის ჩატარების დროს ძალიან ყურადღებით წაკითხეთ წარმოდგენილი წყარო, რადგან ნებისმიერ, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიტყვას, ანალიზის დროს შესაძლოა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. დღეს წარმოგადგენთ ორ წყაროს შესაბამისი კითხვებით: დაკვირვებით წაკითხეთ ეს წყაროები და შეეცადეთ სწორად გასცეთ პასუხი იქ დასმულ კითხვებს.

წყარო 1. „ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა, მეფემ მოკლა ურჯულ ბედში ვაზგენი მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს... ეს გაიგო სომხეთის ქვეყნის ხალხმა... როდესაც მათ გაიგეს ქართლის მეფის აჯანყების შესახებ, მხიარული გულით გაიხარეს, რადგანაც მათ ამბავი მიუვიდათ, ქართლის მეფე ამბობს: „მე ბრძოლას არავის დავანახებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენო.“ ქრისტეს მოყვარულნი გამხნევდნენ ამ ამბისგან... ამბობდნენ, ეგ ქართველთა მეფე მამაცია, ვინ იცის, იქნებ მრავალმონაყოფ ღმერთი გადმოხედავს ჩვენს გაჭირვებას, დაგვეხმარება და, ეგების, ქართველებთან ერთად შექმლით ცოტათი მაინც მივაყენოთ შრომა სპარსელთაო. ასე მოითხოვეს მცირედმა სომეხმა ნახარარებმა, და ეს განზრახვა სხვებსაც გაავრცინეს. ვინც კი გაიგო იგი, ყველა ნებითა და მონდომებით შეუერთდა მას, როგორც ღმერთის წინამძღოლობით მიღებულს. შემდეგ გამხნევებულებმა თავისი განზრახვა აცნობეს ვაჰან მამიკონიანს. როდესაც მან მოისმინა იგი, უთხრა ყველას: „...კარგად ვიცი არიელთა (ირანელთა) ძალა და შეუპოვრობა, ხოლო შრომთა (ბიზანტიელთა) სისუსტე და მატყუარობა. თქვენც გიცნობთ ჩემი გამოცდილებით, თუ როგორ მიგიციათ ფიცით ალთქმა ჩვენი მამებისთვის და მოგიტყუებიათ. რაც შეეხება იმას, რასაც ამბობთ ქართლის მეფისა და შონთა შესახებ, გეტყვით, რომ ცალკე ქართლი სუსტი ქვეყანაა და მხედრობით მცირერიცხოვანი. შონთა შესახებ კი, ვინ იცის, დათანხმდებთან თუ არა მოსვლას ისინი, ვინც აქ არც არის და არც ჩანს? მაგრამ ყველაზე მეტად კი თქვენზე თავისა გემიწოდეთ, რადგან ცრუ და არასანდო ხალხი ხართ“. საბოლოოდ ვაჰანი მაინც დაიყოლიეს და სომ-

ხეთში აჯანყება დაიწყო. სასწრაფოდ გაგზავნეს დესპანი ქართლის მეფესთან, რათა დაპირებისამებრ მიეცა მათთვის ჰონები. ის კი დროის გასაყვანი სიტყვებით აჭიანურებდა თავისი ნათქვამის ასრულებას. შემდეგ საიდგადაც შეკრიბა სამასი ჰონი და გამოგზავნა სომხეთში, მაგრამ ჯერ კიდევ ზამთრის ერთი თვეც არ გასულიყო, რომ სასწრაფო მომიზეზებით ისევ თავისთან გაიხმო...

ზამთრის გასულს ირანიდან დიდი ჯარი მოვიდა... მოანია დესპანმა ქართლის მეფისგან. „ქართლის ქვეყანაში ირანელთა დიდი ჯარი მოვიდა. მე დავინახე, რომ ვერ აღვუდგები წინ და გავეცალე სომხეთის მთებში, ქართლის საზღვრებთან, და თქვენ გელოდებითო. შონთა ჯარს ვუბრძანე მოსულიყო, მაგრამ ჯერ არ მოსულა, მაგრამ, სანამ თქვენ მოხვალთ, ისინიც მოანევენ და იმიერიდან თქვენ, ჩვენ და შონები დავლუპავთ მათ. თუმცა, მე მგონია, რომ, როდესაც შონები მოვლენ, ჩვენ სრულებით აღარაფრის გაკეთება აღარ მოგვიწევს, ისინი თვითონ მოაგვარებენ ამ საქმეს, რადგან უზომო სიმრავლეს ვუბრძანე მოსვლაო.“ ვაჰან მამიკონიანი და სომეხთა ყველა უხუცესი სასწრაფოდ აღდგნენ, რადგან შეეცადულნი იყვნენ სახარებოთა და ჯვრით ქართლის მეფესთან. სომეხთა მთელი ჯარი დაუყოვნებლივ მივიდა ქართლის მეფესთან და ცოტა ხნით დაიბანაკა კანგარქის გავარში. იქ ქართლის მეფე მაცოტუნებელი სიტყვებით ატყუებდა და იყოლიებდა სომეხთა ზორავარ ვაჰან მამიკონიანს... „ორი დღეცა და შონთა ჯარები მოანევენო“, ხოლო როდესაც ვაჰანი ამ ცრუ პაემანის ორი დღე, მაშინ იგი მესამე და მეოთხე დღეზე გადაიტანა, შემდეგ კი მეექვსე და მეშვიდე დღეზეც. მერე მზევრავები გაგზავნინა ქართველთა და სომეხთა ჯარიდან, როდესაც ისინი ჩავიდნენ ერთ-ერთ ველზე, მან დაანახა მათ მრავალი ცეცხლის სინათლე და ხის კუნძები ადამიანის მაგვარად შეიარაღებული, ალექსანდრე მაკედონელის ემბაკობის მსგავსად. იგი ისევ ამბობდა: „შონთა ჯარი არ ამოდის ჩვენთან მთებში. ისინი ამბობენ, აქ, ამ ველზე ჩამოიყვანე და გვაჩვენე სომხები და ყოველივე შენს სიტყვას ვერმზუნებით, რაც ჩვენთვის გითქვამს და შემოგიფიცავს, მაშინ რის გაკეთებდაც ვიბრძანებ, ყველაფერს შევასრულებთ. თუ არა და, არა გვეჯერა, რომ სომხები შენთან ერთად არიან. მაგრამ თუ ნამდვილად დავინახავთ ამას, მაშინ სპარსელები ჩვენ დაგვანებთ და თავს ნუ შინუხებთო. ახლა, თუ თქვენ ამ ველზე არ ჩახვალთ, ხოლო შონთა ჯარი მე არ დამიჯერებს და იმ ქვეყნიდან არსათქვენ არ დაიძვრება, მიჰრანი კი მიბრუნდება და ქართლს ააოხრებს, რა სარგებლობა ექნება ჩემთვის თქვენს აქ მოსვლას?“... სომეხთა ჯარი ჩავიდა ქართლში და დაბანაკდა ზემოხსენებულ ადგილას. არ გასულა სამი თუ ოთხი დღე, რომ მიჰრანი მოვიდა, მოანია და დაიბანაკა სომეხთა ბანაკის პირდაპირ... იმ ღამეს სომეხთა ჯარიდან მრავალმა დაივიწყა ღმერთის ალთქმის შიში და ფეხქვეშ გათელა სახარების სამინელი ფიცი. მათ შიკრიკებით საიდუმლოდ შეუთვალეს სპარსთა ჯარში: „ამ საქმეს ჩვენ სომეხთა ზორავარის ვაჰანის იძულებით დავდგომივართ და არა ჩვენი ნებით. ასეთი ბევრნი ვართ, მაგრამ ჩვენი გონება და ზრახვა თქვენთანაა. ჩვენ კი ვიცით, რომ თქვენი მსახურებიდან ვერ გამოვალთ, მაგრამ ცუდმა ადამიანებმა მოგვინადრეს და აღმოაცენეს დანაშაულები ჩვენში აქამდის. თუ არასოდეს გაიხსენებთ ამ ჩვენს ამბებს და მოგვიტყვებთ, თქვენი ნებაა. ჩვენ კი ხვალ, როდესაც ბრძოლის ველზე გამოვალთ, ჩვენ თვითონაც გავიტყვებთ და სხვა მრავალსაც თან გავიყოლებთ ჩვენი ჯარიდანო.“ როდესაც სპარსელებმა ამ ალთქმის ფიცი მიიღეს, ეს ამბავი დაიჯერეს. როდესაც მეორე დღეს ბრძოლის ველზე გავიდნენ, მამიკონაც ელაპარაკებოდა და ეუბნებოდა ქართლის მეფე სომეხთა ზორავარ ვაჰანსა და სხვა სომეხ უხუცეს ტანუტერებსა და სეპუშებს: „ჩვენთვის უმჯობესი იყო, დღეს შეებრძოლებოდით სპარსთა ჯარს, რადგან ჩვენც ვეყოფით მათ და წინ ვერ დავვიდგებოდნენ, მაგრამ, თუ დღესაც დავიზარებდით, შონები მოვიტოვებდნენ და გამარჯვების სახელსა და ნადვლს ისინი წაიღებდნენ.“ იგი აქამდისაც კი განაგრძობდა მოტყუებას ცრუ სიტყვებით. მაშინ ვაჰან მამიკონიანს გული მოუვიდა ქართლის მეფის ცრუ და უხამს სიტყვებზე, რადგან მან იცოდა სომეხთა ჯარის სისუსტე, ხედავდა, რომ მას დაჰპარგოვდა მხნობა, დაუძღვრებულყოფა და სრულებით არა ჰქავდა სხვა დროის გულმოდგინებასა და მონდომებას. მაგრამ ვაჰან მამიკონიანმა მაინც გაანყო ჯარი საბრძოლო წყობის წესისამებრ... სომეხებმა და სპარსელებმა შეუტყეს ერთმანეთს... შეცრად გაიქცა და განშორდა ბრძოლის ველს მთელი ჯარი სომეხებისა და ქართველებისა, რომელთაგან მრავალი მოღალატე დაუცხროვდა უყვიროდა ერთმანეთს: „სომეხები გაიქცნენ, თავს უშველიეთ.“ ხოლო სომეხთა მთელი ჯარი და მასთან ერთად ქართველთა გამოუსადეგარი ჯარი თავის მეფესთან ერთად დაიშალა და დაიფანტა. მათ ვაჰანსაც კვლავ მიჰყენენ სპარსელთა რაზმები, მრავალი დახოცეს, მრავალმაც სხვადასხვა ადგილას დააღწია თავი და გადარჩა... სპარსეთიდან ახალი ჯარი მოვიდა ჰაზარავუტის მეთაურობით. მან სომხეთის მრავალი სიმაგრე აიღო, დასცა, დაანგრია, ააოხრა და გადაიარა. მან მრავალი დახოცა და და სისხლის ღვარი ადინა. დიდად მოჰქონდა თავი და ღონეს ეძებდა ან ხელთ ჩავედო მხნე ვაჰან მამიკონიანი, ან ბრძოლაში მოეკლა და შემდეგ დაესვენა... მასთან მოვიდა კარიდან დესპანი ნიგნით. მასში პეროზ მეფე იწერებოდა, აცნობებდა მათ, რომ იგი არიელთა მთელი ძალით მიემართებოდა ჰევთალეზე, ხოლო მას უბრძანებდა წასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ამ შეეპურა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეციებინა, სომხეთის ქვეყანაში კი მარზბანად დაეტოვებინა ჯარითურთ საპუში მიჰრანის გვარიდან. როგორც კი ჰაზარავუტმა მიიღო ეს ნიგნი, სასწრაფოდ წავიდა ქართლში. როდესაც იგი იქ მივიდა,

თავისთან შეკრიბა ალთქმის გამტეხთა დასი, რომელთაც ელატათა მეფისთვის და ეცრუათ სახარების ფიცისთვის. ჰაზარავუტთან მივიდნენ ისინიც, ვინც მეფეთა მეფის ერთგულნი იყვნენ თავიდანვე. იგი ერთს მეფობას ჰპირდებოდა, მეორეს ტახტს, პატივსა და მრავალ საჩუქარს, ხოლო მრავალს სხვას – ვისაც რა სჭირდებოდა. მრავალი დაიყოლია ქართლის ქვეყნიდან და რაზმი შეადგინა. როდესაც ქართლის მეფემ დაინახა, რომ თავისიანებმა იგი მოატყუეს, მიატოვეს და ჰაზარავუტთან მივიდნენ, ხოლო სომეხები კი თვითონაც ჯერ კიდევ უმწიფონი იყვნენ და გაჭირვებულნი, გაეცალა ქართლის ქვეყანას და ცოტა ხნით მივიდა ეგრისის ქვეყნის მხარეებში.“

კითხვები და დავალებები:

1. ვინ არის „ურჯულ ბედში ვაზგენი“?
2. წყაროს მიხედვით როდის მოკლეს ვაზგენი?
3. ვინ არის წყაროში ნახსენები ქართლის მეფე?
4. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი და დაწერეთ – როგორ აუხსენით მოსწავლეს, თუ ვისზეა საუბარი;
5. სადაურია წყაროს ავტორი? ა. სომეხი; ბ. ქართველი; გ. სპარსელი; დ. ალბანელი
6. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ტექსტის მიხედვით;
7. ვინ არიან ის „შონები“, რომლის მოყვანასაც ვახტანგ მეფე აპირებს?
8. რატომ ეტყვება ვაჰან მამიკონიანს აჯანყების წარმატება?
9. ისთვის დასჭირდა ქართლის მეფეს სომეხების მოტყუება შონებთან დაკავშირებით?
10. ჩამოწერეთ წყაროში ნახსენები თქვენთვის ნაცნობი, მინიმუმ, სამი ისტორიული პირი;
11. ჩამოწერეთ წყაროში ნახსენები თქვენთვის ნაცნობი მინიმუმ სამი ისტორიული ფაქტი;
12. გაიხსენეთ, რა შედეგებით დასრულდა წყაროში აღწერილი ანტიირანული აჯანყება?

წყარო II. *ორატორის სიტყვა:* „რომაელები რომ სიტყვებით და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი, მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ, იმ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროდ გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია გეუცვება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყო შემწეული, და თითქოს ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად; საკმარისია გაიხსენოთ ჩვენი სახელოვანი მეფე, რომელიც ასე საცოდავად იქნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო. გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაოთ, თუ მივალნვეთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრეს იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდები იყო. თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნაშუსს. იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავზედღურად ეპყრობიან და, ჩვეულებრივ, ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურეებს. სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული; მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეუქ დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღვრებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყო, ვინც უფრო კეთილისმუსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანების და მოკავშირეების მიმართ. სპარსელები ჯეროვანი სიყვარულით მოგვეპყრობიან და ჩვენთვის იბრძობებენ, ვინაიდან ისინი კაცთმოყვარენი და გულკეთილი არიან; გარდა ამისა ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით სპარსთა მეფე მოკავშირედ იქნეს უაღრესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ. მამ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შეუდევით საქმეს და გამოამჟღავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გვაკეთებთ იმას, რაც სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვტანს.“

II ორატორის სიტყვა: „ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმატებულად თქვენმა სიტყვებმა გონება შეგიარყოფს. უძლეველი რამ არის მჭერმტყველება და ის თითქმის ყველას აპარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაეუპიროსპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. სპარსელების მხარეზე გადასვლა არ ექნება სასარგებლო. I ორატორი აქებს და ადიდებს სპარსელებს; ის ფიქრობს, რომ ამ გზით დავგარწმუნებს ჩვენ და ჩვენ ეხლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დავუწყებთ. ამ მიზნისთვის ხმარობს ის ყოველგვარ საშუალებას; იმთავითვე იღვწის და ცდილობს ამისთვის, რომ განახორციელოს ის, რაც მას განზრახული აქვს; მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად

კვლევათა დასახარებად

გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი. მან კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგინდება იქნება და მერე კრება? უმართებულო იქნებოდა, ჩემი აზრით, ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შეესწრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა ავადილია ჩვენს თავზე, და ისე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ. იმათ მიმართ კი, რომელიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულყავით; ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბლაღავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმნიშვნელობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ? მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუ კი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვიტათიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ."

კითხვები და დავალებები:

- 1. ვინ არის I ორატორი?
2. რომელი სახელმწიფო იგულისხმება „რომაელებში“?
3. ვინ იგულისხმება „სახელოვან ჩვენ მეფეში“?
4. რა ბოროტმოქმედებას გულისხმობს წყაროს ავტორი?
5. წყაროდან მოიტანე ფრაზები, რომლითაც I ორატორი სპარსელებს ახასიათებს?
6. წყაროდან მოიტანე ფრაზები, რომლებიც განამტკიცებს I ორატორის მოსაზრებას სპარსელების მისი ქვეყნით დაინტერესების თაობაზე;
7. ვინ იგულისხმება „სპარსთა მეფეში“?

- 8. ვინ არის II ორატორი?
9. წყაროდან მოიყვანე ფრაგმენტი, რომელშიც ჩანს სახალხო კრების მიმდინარეობის წესი.
10. ვინ იგულისხმება „რომაელთა მეფეში“?
11. რა არგუმენტები მოყავს II ორატორს სპარსელთა წინააღმდეგ?
12. რა არგუმენტები მოყავს II ორატორს რომაელთა სასარგებლოდ?

პასუხები:

- წყარო 1.
1. ქვემო ქართლის პიტიანში, ვარსკენი;
2. 482-483 წწ, სპარსეთის მეფის პეროზის მეფობიდან (458 წ.) 25-ე წელს;
3. ვახტანგ I გორგასალი;
4. წყაროში იხსენიება სპარსეთის შაჰის პეროზის მეფობის 25-ე წელი, ქვემო ქართლის პიტიანში ვარსკენის მკვლელობა და V ს-ის 80-იანი წლების ანტიირანული აჯანყება. ეს ყველაფერი ვახტანგ I გორგასალს უკავშირდება;
5. ა;
6. ავტორი აშკარად ქრისტიანია და თანაუგრძნობს ანტიირანულ აჯანყებას, თუმცა არ არის ქართველი და ალბანელი, რადგან კარგად იცნობს სიტუაციას სომხეთში და ხმარობს სომხურ ტერმინებს: ბეხში, ნახარარი, ზორავარი, ტანუტერი, გავარი;
7. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მეომარი, მომთაბარე ტომები, რომლებსაც ამ დროს საერთო, კრებითი სახელით „ჰუნებად“ იხსენიებენ;
8. მას ემინოდა სპარსთა ჯარის მრავალრიცხოვნობის, ბიზანტიელთა სისუსტის და მოუცვლელობის, ჰუნების არ მოსვლის და განსაკუთრებით სომეხი დიდებულების ღალატის;
9. სომეხები აჯანყებაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ;
10. პეროზი, ვაჰან მამიკონიანი, ვარსკენ პიტიანში;
11. ვარსკენის მკვლელობა, V ს-ის 80-იანი წლების ანტიირანული აჯანყება, სპარსული ჯარის სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობა პაზარავუტის მეთაურობით;
12. პეროზის დაღუპვის შემდეგ სპარსელებმა ბევრი დათმეს სომხეთსა და ალბანეთში: მაგ., ვაჰან მამიკონიანი სომხე-

თის მმართველად (მარზპანად) დანიშნეს, ხოლო ალბანეთში მეფობა ალადგინეს. იგივე მოხდებოდა ქართლთან მიმართებაშიც, თუმცა კონკრეტულად რა დათმეს, წყაროებიდან სამწუხაროდ არ ჩანს.

წყარო II.

- 1. აიტი;
2. ბიზანტიის იმპერია;
3. ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზ II;
4. ბიზანტიელი სარდლების მიერ მდ. ხობისწყალთან ღალატით გუბაზის მკვლელობას;
5. სპარსელები უფრო კეთილმოსურველები არიან და ურყევად იცავენ კეთილგანწყობილებას თავისიანების და მოკავშირეების მიმართ. ისინი კაცთმეყვარენი და გულკეთილნი არიან;
6. სპარსთა მეფე მოკავშირედ იქნეს უარესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ;
7. ხოსრო I ანუშირვანი;
8. ფარტადი;
9. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი;
10. ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I;
11. სპარსელები აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადავიყვანენ;
12. უმართებულო იქნებოდა, ჩემი აზრით, ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შეესწრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა ავადილია ჩვენს თავზე, და ისე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ, იმათ მიმართ კი, რომელიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ. სპარსელთა მხარეს გადასვლით, ჩვენ შევბლაღავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმნიშვნელობას.

ბასიკ ლორთქიფანიძე, ისტორიის მეც. დოქტორი, მასწავლებელი, ლექტორი, ტრენერი

ინფორმაცია



მსოფლიო მათემატიკის დღე სკოლაში

მარტის თვე საინტერესო და დატვირთულია ჩაღვარის საგანმანათლებლო დაწესებულების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ მათემატიკის კათედრისათვის:

7 მარტი - მათემატიკის მსოფლიო დღე;

14 მარტი - II-ს საერთაშორისო დღე;
23 მარტი - მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადის IV-კლასელთათვის.

კათედრის გამგის, დირექტორის მოადგილის ნანა სვანიძისა და მათემატიკის პედაგოგის შორენა ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით უამრავი ღონისძიება თუ კონკურსი ჩატარდა მათემატიკის კვირულის ფორმატში: პლაკატების გამოფენა, მათემატიკური თამაშები, გეომეტრიული ფიგურების აწყობა, რიცხვითი ჯაჭვები, კანონზომიერების აღმოჩენა, კენ-კენი, სახალისო მათემატიკური ფოკუსები, პროექტების პრეზენტაციები, მათემატიკური შეჯიბრი „World maths day 2013“, მათემატიკური შეჯიბრი „World science day 2013“, „ixl.com“ საიტზე ონლაინ შეჯიბრი, კონკურსი II-დღის აღნიშვნა.

მსოფლიო მათემატიკის დღე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Unicef-თან ერთად აღინიშნება. ამ დღეს მთელი მსოფლიოს მოსწავლეები წინასწარ რეგისტრირდებიან სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე www.worldmathday.com-ზე და ინდივიდუალური პაროლებით ერთვებიან ონლაინშეჯიბრში, რომელიც მიმდინარეობს შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში - 8-10, 11-13, 14-16 წწ. მათ მიერ, 48 საათში, სავალდებულო 5 სხვადასხვა დონის, მინიმუმ, 10-10 თამაშისას მიღებული შედეგები ინახება, იკრიბება და მუშავდება ვებგვერდის მეშვეობით.

7 მარტი სკოლა ლიცეუმ „სხივს“ სტუმრობდა რუსთავის N2 საჯარო სკოლის 30 მოსწავლე, პედაგოგ გიორგი მეტრეველის ხელმძღვანელობით. ისინი თანატოლებთან ერთად ჩაებნენ მსოფლიო მათემატიკური შეჯიბრში, რომელშიც მონაწილეობ-

და 250-მდე ქვეყანა. თითოეული მათგანი, მასპინძელთა მხარდაჭერით შეხვდა 25-მდე ქვეყნის თანატოლს, გეოგრაფიასთან ინტერირებული მუშაობაც დასჭირდათ, რადგან კონტურულ რუკაზე შეჯიბრში მონაწილე თანატოლების ქვეყნებს აღნიშნავდნენ. ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლის ლია ჩხეიძის დახმარებით, რუკაზე აღნიშნა შეჯიბრში მონაწილე ქვეყნები: ავსტრალია, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკა, ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანა, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ ამერიკა, აშშ, ჩინეთი, კანადა. ბავშვებმა სხვადასხვა სირთულის დონის მიხედვით აირჩიეს, 20-მდე თემიდან, მათთვის საინტერესო თემები: გეომეტრია, ალგებრული გამოსახულებები, წილადები, ათწილადები, პროცენტები, პერიმეტრი, ფართობი, სხვადასხვა ტიპის ლოგოკური და სააზროვნო ამოცანები, თანაფარდობა საზომ ერთეულებს შორის და სხვა.

ასეთი აქტივობისას, სხიველმა და რუსთაველმა შექმნილ ვებგვერდზე ერთმანეთს თავიანთი ცოდნა-გამოცდილება გაუზიარეს, მათ საშუალება მიეცათ, შედეგები ერთმანეთთან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან შეეადარებინათ.

არასოდეს დაავიწყდებათ ეს დღე სტუმრებსა და მასპინძლებს, რადგან ეს იყო გამარჯვების, თავდაჯერებულობის, ნარმატებით მიღწეული სიხარულის, მეგობრობის ზეიმი! ბავშვებმა მხიარულად და ხალისიანად მიაღწიეს ეფექტურ წინსვლას მათემატიკაში და სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან სასაუბროდ შეისწავლეს ახალი ენა - მათემატიკის ენა. ბედნიერებით ბრწყინვადდნენ გამარჯვებულები, როცა საიტზე საქართველოს დროშა ფრიალებდა!

ქათევან ჭითავა სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ პედაგოგი

იურისტის კონსულტაცია

დირექტორის მოვალეობის შიშის გამო აღმასმომხმარებლის დანაშაულის ძარბუნი და რომელსაც აქვს 15-საათიანი დატვირთვა 6-7 კლასიდან ზვეით, ეპურების თუ არა დანაშაუტი?

სკოლის დირექტორს, რომელიც არის სერტიფიცირებული პედაგოგი და ენევა პედაგოგიურ საქმიანობას, ეძლევა დანაშაუტი, თუ იგი აკმაყოფილებს იგივე პირობებს, რაც მოეთხოვება დანარჩენ პედაგოგებს. თუმცა, აუცილებელია, რომ პედაგოგი ასწავლიდეს სწორედ იმ საგანს, რომელიც იგი არის სერტიფიცირებული. ამ შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სერტიფიცირებულია დანაშაულის ქართულში, თუმცა კი ასწავლის იგი-7 და მომდევნო კლასებში, შესაბამისად, იგი ვერ მიიღებს დანაშაუტს.

მაქვს უმაღლესი განათლება. 7 წლია ვმუშაობ სკოლაში ხელოვნების პედაგოგად (არა სპეციალურობით), გავლილი მაქვს გადაგზავნის კურსები 2006 წელს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. როგორ უნდა დანაშაუტი დამიხაროს - როგორც პედაგოგის თუ როგორც მასწავლებლის?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქციის (ინსტრუქცია საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ) თანახმად, განსაზღვრულია პედაგოგთა განათლებისა და კვალიფიკაციის ხუთი საფეხური, რომელიც მოიცავს ბაკალავრის და მაგისტრის აკადემიურ ხარისხებს. თუმცა, ხელფასის გამოანგარიშების დროს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს უთანაბრდება აგრეთვე 5-წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი, 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება და 5-წლიანი დაუსწრებელი პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედეგად გაცემული დიპლომი.

ჩავაბრუნე სასაბჭოთაო გამოცდა „მათემატიკა I-VI-კლასში“, ვასწავლი V-VI-XI კლასებში. მაქვს სრული დატვირთვა. ამ პირობებით არ მაქვს სერტიფიცირების დანაშაუტი. მაქვს თუ არა უფლება, მოვიტხოვო I-VI კლასებში საათები და ვაღაპრებო თუ არა დირექტორს დაამაყროფილოს ჩემი მოთხოვნა, მაშინ როცა სკოლას დანაშაუტი საფხეურზე არ აქვს სერტიფიცირებული პედაგოგი?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქცი-

ის მე-6 მუხლის თანახმად, სერტიფიცირებულ პედაგოგს დანაშაუტი მიეცემა იმ შემთხვევაშიც, თუკი სკოლაში არსებული შესაბამისი საგაკვეთილო საათების სერტიფიცირებული პედაგოგისათვის სრულ ოდენობამდე განაწილების შედეგად დარჩა სრულ განაკვეთზე ნაკლები საგაკვეთილო საათი. გამოდინარე აქედან, შეიძლება დაეასკვნათ, რომ საათების განაწილების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სერტიფიცირებულ პედაგოგს.

ვმუშაობ მაღალმთიანი რაიონის საჯარო სკოლის დირექტორად, ამავე დროს, მაქვს პედაგოგიური დატვირთვა. ვარ შეზღუდული შესაძლებლობის (მეორე ჯგუფის) პირი, რის გამოც ხელფასთან ერთად ვღებულობ პენსიასაც. გასული წლის დეკემბრიდან შემოიფარგა პენსია. სოციალური მომსახურების ადგილობრივი სააგენტოდან კი მანუშა, რომ 2012 წლის ივნისიდან იგი არასწორად მაქვს მიღებული და ზედმეტად მიღებული თანხა უკან უნდა დავაბრუნო.

ამ საკითხზე დასაშუალი კითხვების პასუხებში ყველგან (მათ შორის თქვენს ბავშვშიც) დაფიქსირებულია, რომ ასეთი შეზღუდვა პენსიის მიღებაზე ექვემდებარებიან მხოლოდ ასაკის პენსიონარი სკოლის ხელმძღვანელი პირები, მაქვს თუ არა ასაკამდე ჯარი საკმარისი მაშინვე დასაშუალი.

უმორჩილესად გთხოვთ, მაცნოთ ვრცელდება თუ არა ეს კანონი კონკრეტულად ჩემს მდგომარეობაში მყოფ პირებზე, აბათქვამთ თუ არა კანონის ნომერი და მისი მიღების თარიღი.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშნვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა.

თუმცა, ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. სკოლის დირექტორის თანამდებობა კი საჯარო საქმიანობას წარმოადგენს, რაც გამოირიცხავს ხელფასისა და კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ერთდროულად მიღებას.

გრიგოლ ბაკურაძე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთათვის უფალი პროფკავშირის იურისტი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის დთვისმომოხლის ტაპარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნეობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დონსტოვესკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფორ ჰაბარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - საში მემოზარი
- შოქოლოვ დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე ვუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლოზა გულისა
- მინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კარი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები

- მარბარტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან **ახალი**
- ალბერ კოენი - დედაჩემი **ახალი**
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები **ახალი**
- პროსპერ მერიმე - იღელი ვენერა **ახალი**
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- გუსტავ ფლოპერი - მაღამ გოვარი
- მონოკ დე ბალზაკი - მამა გორიო



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასსაძე

~~11 ლარი~~
9 ლარი




ქართული ენის სასაოლო განმარტებითი ლექსიკონი

თამარ ბეროზაშვილი


10 ლარი

გამოცემლობა „ლიოგენსა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი




ილია ჭავჭავაძე, ორთომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომეული ერთი ტომის ფასი ნახვლად 11 ლარისა 9 ლარი

- ◆ მსოფლიოს 7 საოცრება
- ◆ ავტომობილი
- ◆ ამინდი
- ◆ დიდი აღმოჩენები
- ◆ ხალხთა დიდი გადასახლება
- ◆ გამომგონებები
- ◆ განძის ძიება
- ◆ გლადიატორები
- ◆ დრო და კალენდარი
- ◆ ძველი ეგვიპტე
- ◆ ევროპა
- ◆ ვიკინგები
- ◆ კოშკები
- ◆ კრიმინალისტიკა
- ◆ მათემატიკა
- ◆ მეცნიერებები

- ◆ მსოფლიოს რელიგიები
- ◆ ძველი რომი
- ◆ ძველი საბარქანეთი
- ◆ საშურები
- ◆ უდაბნო
- ◆ უძველესი ადამიანები
- ◆ ახსენილი და აუხსენილი ფენომენები
- ◆ ფიზიკა
- ◆ ჩაპირული ძალაძები
- ◆ ძივები
- ◆ მეკობრეები
- ◆ ოლიმპიური თამაშები
- ◆ მთები
- ◆ ჯანსაღი კვება
- ◆ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
 - ◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
 - ◆ ლევან გომთუზ (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
 - ◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
 - ◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი – 18 ლარი
 - ◆ რევაზ ინანუშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
 - ◆ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
 - ◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
 - ◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
 - ◆ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
 - ◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი
- გითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატილაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >